



ევროკავშირი
საქართველოსთვის



European Charter for Equality

ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ

ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭო (CEMR)



მიღებულია ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს პოლიტიკის კომიტეტის მიერ 2006 წელს
ცვლილებები შეტანილია მიღებულია ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს პოლიტიკის
კომიტეტის მიერ 2022 წელს

ყველა უფლება დაცულია © 2022 – CCRE CEMR
საკონტაქტო ინფორმაცია: charter@ccre-cemr.org



ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ

ქარტია წარმოადგენს ევროპის ადგილობრივი
და რეგიონული მთავრობების მიერ აღებულ
ვალდებულებას, რომ ისინი თავიანთ ძალაუფლებასა
და პარტნიორულ ურთიერთობებს მოსახლეობისთვის
მეტი თანასწორობის შესაქმნელად გამოიყენებენ



შესავალი

„ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ“ მოუწოდებს დოკუმენტზე ხელმოსაწერად მონვეულ ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს ევროპაში, რომ მათ ოფიციალურად და საჯაროდ აიღონ ქალებისა და კაცების თანასწორობისადმი ერთგულების ვალდებულება და საკუთარ ტერიტორიაზე დანერგონ ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ამ ვალდებულებების განსახორციელებლად თითოეული ხელმომწერი მხარე („ხელმომწერი“) ვალდებულია, შეადგინოს „თანასწორობის სამოქმედო გეგმა“, რომელშიც განსაზღვრული იქნება ამ მიზნის მიღწევისათვის საჭირო პრიორიტეტები, მოქმედებები და რესურსები.

ამასთანავე, თითოეული ხელმომწერი ვალდებულია, ითანამშრომლოს ყველა ინსტიტუტთან და ორგანიზაციასთან საკუთარი ტერიტორიაზე და ხელი შეუწყოს რეალური თანასწორობის მიღწევას.

ქარტია 2005-2006 წლებში შეიქმნა ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს (CEMR-ის) მიერ თავის წევრებთან და პარტნიორებთან ერთად (იხ. სამადლობელი სიტყვა) განხორციელებული პროექტის ფარგლებში. პროექტს მხარს უჭერდა ევროკომისია მისი მე-5 სათემო სამოქმედო პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანიც ქალებისა და კაცებს შორის თანასწორობის ხელშეწყობაა.

2011-2012 წლებში შვედეთის მთავრობამ გულუხვი დახმარება გაიღო თვითმმართველობების ადგილობრივი ორგანოებისა და რეგიონების ასოციაციის (SALAR-ის) მეშვეობით. ამ დახმარების წყალობით შეიქმნა ონლაინ-სადაამკვირვებლო საბჭო, რომელიც¹ ხელმომწერებს ეხმარება მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაში და ერთად უყრის თავს ინფორმაციას, რჩევებსა და კარგი პრაქტიკის ნიმუშებს იმ თემებზე, რომლებსაც ეს ქარტია ეხება.

2014-2015 წლებში ევროკომისიის მიერ მხარდაჭერილი საპილოტე

პროექტის ფარგლებში შეიქმნა და დაიტესტა ინდიკატორების კომპლექტი, რომლის მიზანია ქარტიის განხორციელების კონტროლი და შეფასება.

2021 წელს CEMR-ის თანასწორობის მუდმივმოქმედმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ ქარტიისთვის გადაეხედა და განეხილებინა საჭიროების შემთხვევაში. განხილვის შემდეგ კომიტეტმა დაასკვნა, რომ არსებობდა ქარტიაში ცვლილებების შეტანის საფუძველი. კერძოდ, მხედველობაში იქნა მიღებული შემდეგი საკითხები:

- ქარტიის ენის გაუმჯობესება და სარედაქციო ხასიათის ცვლილებების შეტანა;
- ქარტიაში სექტორთაშორისი პერსპექტივის ახსნა და წინ წამოწევა და ამავედროულად ყურადღების შენარჩუნება მთავარ პრინციპზე „ყოველთვის გენდერი, მაგრამ არასდროს მხოლოდ გენდერი“;
- ცალკე განყოფილებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი დამატების შეტანა ახალი მუხლების სახით, როგორცაა, მაგალითად, კრიზისის მართვასა და სამოქალაქო მომზადებაში გენდერული თვალთახედვის დანერგვა და გენდერული პერსპექტივის გამოყენება ინტერნეტისა და დიგიტალიზაციის სწრაფი განვითარების პირობებში.

28-ე გვერდზე შეგიძლიათ, იხილოთ განყოფილება, რომელშიც ახალი მუხლებია დამატებული. ქარტიაზე ამჟამინდელი ხელმომწერები მონვეულნი არიან, რომ მოახდინონ ამ შესწორებების რატიფიცირება და შესაბამისი დებულებების ჩართვა თანასწორობის შესახებ ევროპული ქარტიის დანერგვის პროცესში. 2023 წლიდან ყველა ახალი ხელმომწერი აიღებს ვალდებულებას როგორც ქარტიის თავდაპირველი ტექსტის, ისე 2022 წელს მიღებული შესწორებების წინაშე.

2022 წელს განახლებისა და შესწორებების მიღება შესაძლებელი გახდა ევროკავშირის სახსრებით, რომლებიც გამოიყო მოქალაქეობის, თანასწორობის, უფლებებისა და ღირებულებების პროგრამის ფარგლებში.

¹ www.charter-equality.eu



ისტორია

ქალთა და კაცთა თანასწორობა ყველასთვის ფუნდამენტური უფლებაა და მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს დემოკრატიისთვის. რეალობაში ამის მისაღწევად საჭიროა არა მხოლოდ იურიდიული აღიარება, არამედ ეფექტური განხორციელება ცხოვრების ყველა ასპექტში: იქნება ეს პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური სფერო თუ კულტურა.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ფორმალური აღიარებისა და მიღწეული პროგრესის უამრავი მაგალითი, ქალთა და კაცთა თანასწორობა ყოველდღიურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ შორსაა რეალობისგან. კაცებსა და ქალებს ერთი და იგივე უფლებები არ აქვთ სინამდვილეში. სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უთანასწორობები არ გამქრალა. ამის მაგალითია განსხვავება ხელფასებში და წარმომადგენლობის დაბალი დონე პოლიტიკაში.

ეს უთანასწორობები იმ სოციალური კონსტრუქციების შედეგია, რომლებსაც ღრმად აქვს ფესვები გადგმული მრავალ სტერეოტიპულ შეხედულებაში. აღნიშნული სტერეოტიპები ფართოდაა გავრცელებული ოჯახებში, საგანმანათლებლო სივრცეში, კულტურაში, მედიაში, შრომის ბაზარზე და საზოგადოების ორგანიზაციულ სტრუქტურაში. არსებობს ბევრი სფერო, რომლებშიც შესაძლებელია ზომების მიღება ახალი მიდგომის შემუშავებით და სტრუქტურული ცვლილებების შეტანით.

გენდერული თანასწორობა და ევროკავშირის მმართველობა

ქალთა და კაცთა შორის თანასწორობა ევროკავშირისა და ევროპის ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი ფუძემდებელი პრინციპია. მისი ისტორია იწყება 1957 წლიდან, როცა თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების გაცემის პრინციპი ჩაინერა რომის ხელშეკრულებაში.

ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის ორგანოები ყველაზე ახლოსაა ხალხთან და ამიტომ, ისინი საუკეთესო დონეა როგორც უთანასწორობების გავრცელებისა და გახანგრძლივების წინააღმდეგ საბრძოლველად, ისე ნამდვილად ეგალიტარიანული საზოგადოების

ჩამოყალიბების ხელშესაწყობად. თავიანთი კომპეტენციის და ადგილობრივი აქტორების მთელ სპექტრთან უკვე არსებული თანამშრომლობის მეშვეობით მათ შეუძლიათ კონკრეტული ნაბიჯები გადადგან ქალთა და კაცთა შორის თანასწორობის ხელშესაწყობად.

ამასთან ერთად, სუბსიდიარულობის პრინციპი² განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქალთა და კაცთა თანასწორობის უფლების პრაქტიკულ განხორციელებაში. ეს პრინციპი ეხება მმართველობის ყველა დონეს: იქნება ეს ევროპული, ეროვნული, რეგიონული თუ ადგილობრივი. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს სხვადასხვა სახის მოვალეობები აქვთ, ყველა მათგანმა კონსტრუქციული როლი უნდა შეასრულოს და ხელი შეუწყოს თანასწორობის შექმნას პრაქტიკული გზებით, რომლებიც დადებით გავლენას ახდენს მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

სუბსიდიარულობის პრინციპთან მჭიდროდაა დაკავშირებული ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის პრინციპები. ევროპის ქვეყნების დიდმა უმრავლესობამ 1985 წელს ხელი მოაწერა და რატიფიკაცია გაუკეთა ევროპის საბჭოს ქარტიას ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. ამ ქარტიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად“. თანასწორობის უფლების განხორციელება და მხარდაჭერა უნდა განვიხილოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ცნების განუყოფელ ნაწილად.

ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატია ტრამპლინი უნდა გახდეს ყველაზე შესაფერისი გადაწყვეტილებების მისაღებად ყოველდღიური ცხოვრების ისეთ კონკრეტულ საბაზისო ასპექტებთან დაკავშირებით, როგორცაა საცხოვრებელი პირობები, უსაფრთხოება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, შრომის ბაზარი და ჯანდაცვა.

ამასთან ერთად, იმის უზრუნველყოფა, რომ ქალები სრულად იყვნენ ჩართულნი ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკის

² როგორც ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5 პუნქტშია ჩამოყალიბებული, ამ პრინციპთან დაკავშირებით ევროკავშირი არ იღებს ზომებს (გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მისი ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებშია), თუ მოქმედება ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე გადადგმულ ნაბიჯზე უფრო ეფექტური არაა.

შემუშავებასა და განხორციელებაში მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, „ნოუ-ჰაუსა“ და შემოქმედებით პოტენციალს გასაქანს აძლევს და ფუჭად არ კარგავს.

თუ თანასწორობაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნა გვსურს, მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა და რეგიონულმა თვითმმართველობებმა სრულად მოახდინონ გენდერული თვალთახედვების ინტეგრირება თავიანთ პოლიტიკაში, ორგანიზაციაში და პრაქტიკაში. ქალთა და კაცთა შორის ჭეშმარიტ თანასწორობას საკვანძო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეკონომიკური და სოციალური წარმატებისთვისაც არა მხოლოდ ევროპულ ან ეროვნულ დონეებზე, არამედ ასევე, რეგიონებში, ქალაქებსა და ადგილობრივ თემებში – როგორც დღევანდელ, ისე ხვალისდელ სამყაროში.

CEMR და გენდერული თანასწორობა ადგილობრივ/რეგიონულ დონეზე

1980-იანი წლებიდან ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭო და თანასწორობის მუდმივმოქმედი კომიტეტი ³ აქტიურად უჭერს მხარს ქალთა და კაცთა თანასწორობას ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. განუვლი შრომის შედეგად ევროპის ადგილობრივი და რეგიონული სამთავრობო ორგანოებისთვის შემუშავებული ერთ-ერთი კონკრეტული ხელსაწყო იყო თანასწორობის ქალაქი, რომელიც CEMR-მა 2005 წელს შექმნა. თანასწორობის ქალაქმა სხვადასხვა

ევროპული ქალაქისა და მუნიციპალიტეტის საუკეთესო პრაქტიკა გამოავლინა და ამგვარად, პირველი მეთოდოლოგია შექმნა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გასატარებლად ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. ამჟამინდელი ქარტია, რომელიც 2022 წელს განახლდა სწორედ ამ შრომას ეფუძნება.

ადგილობრივ თვითმმართველობაში ქალთა წარმომადგენლობის შესახებ კვლევა CEMR-მა პირველად 1998 წელს გამოაქვეყნა. 2008 წელს გამოვიდა დამატებითი კვლევის შედეგები, რომლებიც შემდეგ განახლდა, გაფართოვდა და 2019 წელს მოიცვა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონის შემოწმება 40 ევროპულ ქვეყანაში. ქალი პოლიტიკოსების წილი წლების განმავლობაში იზრდებოდა, მაგრამ ყოველი ახალი კვლევა აჩვენებდა გენდერული ბალანსის ადვოკატირების გაგრძელების გადაუდებელ საჭიროებას პოლიტიკური ჩართულობის, წარმომადგენლობისა და გავლენის სფეროებში.

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების როლი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაში ხაზგასმულ იქნა IULA-ს (ადგილობრივი ხელისუფლებების საერთაშორისო კავშირი ⁴) მსოფლიო დეკლარაციაში „ქალები ადგილობრივ ხელისუფლებაში“, რომელიც 1998 წელს მიიღეს. ახალი მსოფლიო ორგანიზაციის „გაერთიანებული ქალაქები და ადგილობრივი ხელისუფლებები“ ერთ-ერთი მთავარი მიზანია ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის მიღწევა.

3 ადრე ერქვა ადგილობრივ და რეგიონულ სახელისუფლებო ორგანოებში არჩეული ქალი წარმომადგენლების კომიტეტი CEMR-ში.
 4 ადგილობრივი ხელისუფლებების საერთაშორისო კავშირმა და გაერთიანებული ქალაქების ორგანიზაციამ შერწყმის შემდეგ არსებობა შეწყვიტა 2000-იანი წლების დასაწყისში და ასე გაჩნდა ახალი ორგანიზაცია: გაერთიანებული ქალაქები და ადგილობრივი ხელისუფლებები.



აბრევიატურები

CEDAW: კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

CEMR: ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭო

CSE: ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლება

EU: ევროკავშირი

GBV: გენდერული ნიშნით ძალადობა

ICT: საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგია

LRG-ები: ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებები

SDG: მდგრადი განვითარების მიზნები

STEM: მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია და მათემატიკა



პრეამბულა

ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭო, რომელიც ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებს წარმოადგენს თავის წევრებთან და პარტნიორებთან ერთად:

შეგახსენებთ რა, რომ ევროპის თანამეგობრობა და კავშირი დაფუძნებულია ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებზე, მათ შორის, ქალთა და კაცთა შორის თანასწორობის ხელშეწყობასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე, ხოლო ევროპული კანონმდებლობა ევროპაში ამ სფეროში მიღწეული წარმატების საფუძველს წარმოადგენს;

ეყრდნობა რა ადამიანის უფლებების, ქალთა და კაცთა შორის თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის საერთაშორისო და ევროპულ საკანონმდებლო ჩარჩოებს, როგორცაა:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948);
- კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979);
- პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (1995);
- ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ქალთა და კაცთა დაბალანსებული მონაწილეობის შესახებ (1996);
- 2000 წელს გენერალური ასამბლეის 23-ე სპეციალურ სესიაზე მიღებული რეზოლუციები (პეკინი +5)
- გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია 1325 ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ (2000);
- ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტია (2000);
- ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია – მიღებულია 2011 წელს);
- ევროპის ფუნდამენტური სოციალური უფლებები (ძალაში შევიდა 2017 წელს);
- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები, განსაკუთრებით, მე-5 მიზანი (2015);
- ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საერთაშორისო კავშირის მსოფლიო დეკლარაცია ქალების თაობაზე ადგილობრივ თვითმმართველობაში (1998);

- ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 2000/78/EC (2000 წლის 27 ნოემბერი), რომელიც ზოგად ჩარჩოს ადგენს სამუშაო ადგილზე და პროფესიულ სფეროში თანასწორი მოპყრობის შესახებ;
- თანასწორობის თაობის გლობალური აქსელარაციის გეგმა (2021).

განსაკუთრებულად გამოყოფს რა ევროპის საბჭოს მნიშვნელოვან წვლილს ადამიანის უფლებების, ქალთა და კაცთა თანასწორობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერის საქმეში;

ითვალისწინებს რა, რომ თანასწორობა ქალებსა და კაცებს შორის გულისხმობს ნებას, განხორციელდეს ქმედებები სამი მიმართულებით. ესენია: პირდაპირი უთანასწორობების აღმოფხვრა, არაპირდაპირი უთანასწორობების აღმოფხვრა და ეგალიტარული და დემოკრატიული პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური სტრუქტურების შექმნა;

წუხილს გამოთქვამს იმ ფაქტის გამო, რომ კვლავ არსებობს შეუსაბამობა თანასწორობის უფლების დე-იურე აღიარებასა და მის პრაქტიკაში ეფექტურად აღსრულებას შორის;

ითვალისწინებს რა, რომ ევროპის ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობები თავიანთი მოქალაქეებისა და მაცხოვრებლების სახელით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და კვლავაც უნდა ასრულებდნენ, რომ მათი უფლებამოსილების ნებისმიერ სფეროში ყველა ქალმა და კაცმა შეძლოს თანასწორობის ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობა დისკრიმინაციის გარეშე;

ითვალისწინებს რა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და წამყვან თანამდებობებზე ქალებისა და კაცების დაბალანსებული მონაწილეობა და წარმომადგენლობა მნიშვნელოვანია დემოკრატიის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისთვის;

წარმოგიდგენთ ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის ქარტიას და აქვე იწვევს ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებს, ხელი მოაწერონ და დანერგონ მისი დებულებები.



I ნაწილი

პრინციპები

ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ ევროპული ქარტიის ხელმომწერები აღიარებენ მათი საქმიანობის შემდეგ ფუნდამენტურ პრინციპებს:

1. ქალთა და კაცთა თანასწორობა ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს

ეს უფლება უნდა განხორციელდეს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების მიერ მათი უფლებამოსილების ყველა სფეროში. ის, ასევე, მოიცავს ნებისმიერი სახის, პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაციის აღმოფხვრის ვალდებულებას.

2. ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ბრძოლა დისკრიმინაციისა და არახელსაყრელი პირობების მრავალ, ურთიერთგადამკვეთ ფორმასთან

ქალთა და კაცთა შორის თანასწორობის მისაღწევად გენდერული თანასწორობისკენ მიმართული ძალისხმევა ყოვლისმომცველი, სისტემური და სტრუქტურული პერსპექტივიდან უნდა განიხილავდეს, როგორ ურთიერთქმედებაშია გენდერი სხვა ფაქტორებთან, როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ეთნიკური და სოციალური წარმომავლობა, გენეტიკური თვისებები, ენა, რელიგია ან მრწამსი, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, ეთნიკური უმცირესობის წევრობა, საკუთრება, დაბადება, უნარშეზღუდულობა, ასაკი ან ქესუალური ორიენტაცია.⁵

3. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალებისა და კაცების დაბალანსებული მონაწილეობა და წარმომადგენლობა დემოკრატიული საზოგადოების

წინაპირობაა

ქალთა და კაცთა თანასწორობის უფლება მოითხოვს, რომ ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებებმა მიიღონ ყველა საჭირო ზომა და შეიმუშაონ შესაბამისი სტრატეგიები ქალებისა და კაცების დაბალანსებული წარმომადგენლობისა და მონაწილეობისთვის გადაწყვეტილების მიღების ყველა სფეროში.

4. გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრა უკიდურესად მნიშვნელოვანია ქალთა და კაცთა თანასწორობის მისაღწევად

ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს იმ სტერეოტიპებისა და დაბრკოლებების აღმოფხვრას, რომლებიდანაც სათავეს იღებს ქალების უთანასწორობა სტატუსისა და მდგომარეობის მიხედვით და წარმოიშობა ქალებისა და კაცების როლების არათანასწორი შეფასება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებში.

5. გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ყველა საქმიანობაში აუცილებელია ქალთა და კაცთა თანასწორობის გასაძლიერებლად

გენდერული პერსპექტივა უნდა იქნეს გათვალისწინებული იმ წესების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების შედგენისას, რომლებიც გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მაგალითად, შეგიძლიათ, გამოიყენოთ ისეთი ხერხები, როგორცაა „გენდერული შეფასებები“⁶, „გენდერული აუდიტები“⁷, „გენდერული

5 ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიის 21-ე მუხლი.

6 გენდერული შეფასება: „პოლიტიკური წინადადების კეთილსაიმედოობის შესამოწმებელი ხელსაწყო, რომლის მიზანია წამოყენებული წინადადების განსხვავებული გავლენის ან ეფექტის დადგენა და შეფასება ქალებსა და კაცებზე, რაც თავის მხრივ, გამოვლენილი უთანასწორობების აღმოფხვრის საშუალებას იძლევა წინადადების მხარდაჭერამდე“. (წყარო: ევროპის საბჭო [2011]. კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ და მისი განმარტებითი მემორანდუმი. ევროპის საბჭოს ხელშეკრულებების სერია 210.)

7 გენდერული აუდიტი: „იმ ხარისხის შეფასება, რომლითაც გენდერული თანასწორობა ეფექტურადაა ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკურ ზომებში, პროგრამებში, ორგანიზაციულ სტრუქტურებში და პროცესებში (მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში), და შესაბამის ბიუჯეტებში“. (წყარო: ევროპის საბჭო – ადამიანის უფლებათა და სამართლებრივ საქმეთა გენერალური დირექტორატი [2009]. გენდერული ბიუჯეტირება: პრაქტიკული იმპლემენტაცია. სახელმძღვანელო მოამზადა შეილა ქუინმა.)

მეინსტრიმინგი⁸ და „გენდერული ბიუჯეტირება“⁹. ამ მიზნით გაანალიზებული და გათვალისწინებული უნდა იქნეს ქალთა სხვადასხვა ჯგუფის გამოცდილება ადგილობრივ ცხოვრებაში, მათ შორის, მათი საცხოვრებელი და სამუშაო პირობები.

6. კარგად მოფიქრებული და დაფინანსებული სამოქმედო გეგმები და პროგრამები მნიშვნელოვანი ხელსაწყობია ქალთა და კაცთა თანასწორობის მხრივ პროგრესის მისაღწევად

ადგილობრივმა და რეგიონულმა მთავრობებმა თანასწორობის სამოქმედო გეგმები და პროგრამები უნდა შეიმუშაონ და მათი განხორციელებისთვის აუცილებელი ადეკვატური ფინანსური და ადამიანური რესურსები გამოყოფონ.

ეს პრინციპები ერთობლივად ქმნის ქვემოთ მე-III ნაწილში მოცემული მუხლების საფუძველს.

8 **გენდერული მეინსტრიმინგი:** „გენდერული პერსპექტივის მეინსტრიმინგი არის პროცესი, სადაც ყველა სფეროში და ყველა დონეზე ფასდება ნებისმიერი დაგეგმილი ღონისძიების ზეგავლენა ქალებსა და კაცებზე, მათ შორის, კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პროგრამების მხრივ. ეს სტრატეგია გულისხმობს ქალებისა და ასევე კაცების საჭიროებებისა და გამოცდილების ინტეგრირებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში სხვადასხვა პოლიტიკის და პროგრამების შედგენის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების დროს, რომ ქალებმა და კაცებმა თანაბარი სარგებელი მიიღონ და არ გაგრძელდეს უთანასწორობა. საბოლოო მიზანია გენდერული თანასწორობის მიღწევა“. (წყარო: გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი. გენდერული თანასწორობის გლოსარიუმი და თეზაურუსი)

9 **გენდერული ბიუჯეტირება:** „ბიუჯეტების შეფასება გენდერის მიხედვით, გენდერული პერსპექტივის ჩართვა ბიუჯეტირების პროცესის ყველა დონეზე და შემოსავლებისა და ხარჯების რესტრუქტურირებაცია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით“. (წყარო: ევროპის საბჭო, 2009)



II ნაწილი

ქართისა და მისი ვალდებულებების იმპლემენტაცია

ხელმომწერი თავის თავზე იღებს ვალდებულებას, რომ პრაქტიკაში განახორციელებს ამ ქართის დებულებებს და ამისთვის შემდეგ კონკრეტული ნაბიჯებს დგამს:

- (1) ამ ქართის თითოეულმა ხელმომწერმა ქარტიანზე ხელმომწერიდან გონივრულ დროში (არა უმეტეს ორი წლისა) უნდა შეიმუშაოს და მიიღოს თანასწორობის სამოქმედო გეგმა და შემდეგ დანერგოს ის.
- (2) თანასწორობის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ხელმომწერის მიზნებსა და პრიორიტეტებს, გასატარებელ ღონისძიებებს და გამოყოფილ რესურსებს, რომ რეალურად განხორციელდეს ქარტია და ნაკისრი ვალდებულებები. გეგმაში, ასევე, მითითებული უნდა იყოს იმპლემენტაციის შემოთავაზებული ვადები. თანასწორობის სამოქმედო გეგმის არსებობის შემთხვევაში ხელმომწერმა მას უნდა გადახედოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი ნამდვილად ეხება ამ ქარტიით გათვალისწინებულ საკითხებს, მათ შორის, იმ საკითხებს, რომლებიც 2022 წელს დაემატა 31-39 მუხლების სახით.
- (3) თითოეულმა ხელმომწერმა კონსულტაციები უნდა გაიაროს თანასწორობის სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე და შემდეგ ფართოდ გაავრცელოს იგი. ასევე, უნდა მოხდეს გეგმის იმპლემენტაციის მხრივ მიღწეული წინსვლის შესახებ რეგულარული საჯარო ანგარიშების წარმოდგენა.
- (4) თითოეულმა ხელმომწერმა უნდა ჩაასწოროს სამოქმედო გეგმა სიტუაციიდან გამომდინარე და შეადგინოს შესაბამისი გეგმები ყოველი ახალი პერიოდისთვის.
- (5) თითოეული ხელმომწერი ვალდებულებას იღებს, რომ ხელს შეუწყობს ქართის განხორციელების კონტროლს და ითანამშრომლებს შეფასების სისტემასთან, რომელიც ამ მიზნისთვის შექმნილ ინდიკატორებს იყენებს¹⁰. ხელმომწერი ასევე უნდა დაეხმაროს ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს ერთმანეთისგან სწავლაში, რომ მათ მიიღონ ცოდნა თავიანთ ტერიტორიებზე გენდერული თანასწორობის მიღწევის ეფექტური საშუალებების შესახებ. ამ მიზნით ხელმომწერებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ თანასწორობის სამოქმედო გეგმები და სხვა რელევანტური საჯარო მასალები.
- (6) თითოეულმა ხელმომწერმა წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს ქართის ხელმომწერის შესახებ და ასევე, გამოყოს მომავალი თანამშრომლობისთვის საკონტაქტო პირი, რომლის კომპეტენციაც იქნება ქარტია და მისი განხორციელება.

¹⁰ <https://bit.ly/IndicatorToolEN>



III ნაწილი

დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ანგარიშვალდებულება

მუხლი 1 – პოლიტიკური ვალდებულება

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის უფლება დემოკრატიის ფუნდამენტური წინაპირობაა და დემოკრატიულ სახელმწიფოს არ აქვს ქალების უნარების, ცოდნის, გამოცდილებისა და შემოქმედებითი უნარის უგულებელყოფის ფუფუნება. აქედან გამომდინარე, თანასწორობის საფუძველზე მან უნდა უზრუნველყოს ჩართულობის, წარმომადგენლობის და მონაწილეობის უფლება ყველა წარმოშობის და ასაკობრივი ჯგუფის ქალისთვის პოლიტიკური და საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- (2) ხელმომწერი, როგორც დემოკრატიულად არჩეული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია თავისი მოსახლეობის და ტერიტორიის კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე, იღებს ვალდებულებას, წაახალისოს და ხელი შეუწყოს ამ უფლების პრაქტიკულ განხორციელებას საქმიანობის ყველა სფეროში, რაც წარმოადგენს მისი, როგორც ადგილობრივი საზოგადოების დემოკრატიული ლიდერის, სერვისების მიმწოდებლისა და განმკარგველის, დამგეგმავისა და მარეგულირებლის და დამსაქმებლის როლის განუყოფელ ნაწილს.

პოლიტიკური როლი

მუხლი 2 – პოლიტიკური წარმომადგენლობა

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ კაცებსა და ქალებს აქვთ თანაბარი უფლება, მისცენ ხმა, კენჭი იყარონ არჩევნებზე და დაიკავონ არჩევითი თანამდებობა.
- (2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალებსა და კაცებს აქვთ თანაბარი უფლება, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაში, დაიკავონ თანამდებობა საჯარო სამსახურში და ნებისმიერი საჯარო ფუნქცია შეასრულონ მთავრობის ყველა დონეზე.
- (3) ხელმომწერი აღიარებს და ბალანსებულ წარმომადგენლობის პრინციპს ნებისმიერი არჩევითი და საჯარო გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს შემთხვევაში.
- (4) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, რომ მიიღებს ყველა საჭირო ზომას ზემოხსენებული უფლებისა და პრინციპის მხარდასაჭერად, მათ შორის:
 - სტიმულს მისცემს ქალებს, დარეგისტრირდნენ ხმის მისაცემად, გამოიყენონ ხმის მიცემის ინდივიდუალური უფლება და წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურა საჯარო მოხელის თანამდებობაზე;
 - წაახალისებს პოლიტიკურ პარტიებსა და ჯგუფებს, დაამტკიცონ და განახორციელონ ქალებისა და კაცების დაბალანსებული წარმომადგენლობის პრინციპი;
 - ხელს შეუწყობს პოლიტიკურ პარტიებსა და ჯგუფებს, გაატარონ ნებისმიერი კანონიერი ქმედება, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში დაანესონ კვოტები, რომ გაიზარდოს კანდიდატებად დარეგისტრირებული და შემდეგ არჩეული ქალების რაოდენობა;
 - თვითონ დაარეგულირებს ქცევის საკუთარ პროცედურებსა და სტანდარტებს, რომ პოტენციურმა კანდიდატებმა და არჩეულმა წარმომადგენლებმა სტიმული არ დაკარგონ არასასურველი ქცევის, ენისა და შევიწროების გამო;
 - მიიღებს ზომებს, რომლებიც არჩეულ წარმომადგენლებს მისცემს საშუალებას, ერთმანეთს შეუთავსონ თავიანთი პირადი, სამსახურებრივი და საჯარო ცხოვრება. მაგალითად, უზრუნველყოფს, რომ განრიგებმა, სამუშაო

მეთოდებმა და კმაყოფაზე მყოფი პირის მოვლის ხელმისაწვდომობამ წარმომადგენლებს სრულყოფილად მონაწილეობის შესაძლებლობა მისცეს;

- (5) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, რომ პოპულარიზებას გაუწევს დაბალანსებული წარმომადგენლობის პრინციპს და გამოიყენებს მას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საკონსულტაციო ორგანოებთან მუშაობისას და ასევე, გარე ორგანოებში დანიშვნის შემთხვევაში.

თუმცა, ქალთა და კაცთა დაბალანსებული გენდერული წარმომადგენლობის მიღწევის პროცესში ხელმომწერმა ზემოხსენებული ისე უნდა განახორციელოს, რომ უმცირესობაში მყოფი გენდერი უფრო ნაკლებად სახარბიელო სიტუაციაში არ აღმოჩნდეს, ვიდრე მანამდე არსებული გენდერული ბალანსის დროს იყო.

- (6) ხელმომწერი ასევე იღებს ვალდებულებას, რომ არცერთი საჯარო თუ პოლიტიკური თანამდებობა (არჩევითი თუ დანიშვნიით) არც თეორიულად და არც პრაქტიკაში არ იქნება მხოლოდ ერთი გენდერისთვის შეზღუდული ან წარმოჩენილი სტერეოტიპული შეხედულებებიდან გამომდინარე.

მუხლი 3 – პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობა

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ მოქალაქეების უფლება, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმიანობაში ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპია. ის ასევე აღიარებს, რომ ქალებსა და კაცებს აქვთ უფლება, ერთნაირად მიიღონ მონაწილეობა საკუთარი რეგიონის, მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი თემის მართვასა და საჯარო ცხოვრებაში.

- (2) რაც შეეხება სათემო საქმეებში ჩართულობის სხვადასხვა ფორმას, მაგალითად, საკონსულტაციო კომიტეტებს, რაიონულ საბჭოებს, ელექტრონულ მონაწილეობას ან საქმიანობის დაგეგმვას სხვადასხვა მხარის ჩართულობით, ხელმომწერმა უნდა უზრუნველყოს, რომ ქალებსა და კაცებს მონაწილეობის მიღების თანაბარი საშუალება ჰქონდეთ პრაქტიკაში.

თუ მონაწილეობის უკვე არსებული საშუალებები ასეთ თანასწორობას არ ქმნის, ხელმომწერი ვალდებულებას იღებს, რომ ახალ მეთოდებს შეიმუშავებს და გამოცდის.

- (3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, რომ აქტიურ პოპულარიზაციას გაუწევს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალებისა და კაცების თანაბარ ჩართულობას საზოგადოების ყველა სექტორიდან, განსაკუთრებით, უმცირესობათა ჯგუფებიდან, რომლებიც სხვა შემთხვევაში შეიძლება უგულებელყვით.

მუხლი 4 – საჯარო ვალდებულება თანასწორობისადმი

(1) ხელმომწერმა, როგორც თავისი ტერიტორიის და საზოგადოების დემოკრატიული ღირსეობისა და წარმომადგენელმა ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის პრინციპის მხარდასაჭერად უნდა გააკეთოს საჯარო განცხადება, რომელშიც უნდა შედიოდეს:

- განცხადება ქარტიის ხელმომწერის შესახებ, რაც მოყვება უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ქარტიის განხილვასა და დამტკიცებას;
- პირობა, რომ შესრულდება ამ ქარტიით აღებული ვალდებულებები, რეგულარულად გამოქვეყნდება ანგარიშები თანასწორობის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მიღწეული პროგრესის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება ქარტიის ინდიკატორების კომპლექტი, რომელიც ამ მიზნით შეიქმნა;
- პირობა, რომ ხელმომწერი და მისი არჩეული წევრები დაემორჩილებიან და დაიცავენ ქვეყნის სწორ ფორმებს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით;

(2) ხელმომწერი გამოიყენებს თავის დემოკრატიულ მანდატს სხვა პოლიტიკოსების, სახელმწიფო დაწესებულებების, კერძო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წასახალისებლად, რომ მათ მიიღონ ზომები, რომლებიც პრაქტიკაში უზრუნველყოფს ქალთა და კაცთა თანასწორობის უფლებას.

მუხლი 5 – პარტნიორობებთან მუშაობა თანასწორობის პოპულარიზაციისთვის

(1) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, რომ ითანამშრომლებს ყველა პარტნიორთან, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორთან, განსაკუთრებით, სოციალურ პარტნიორობებთან და ასევე, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის, ქალთა ორგანიზაციებთან და სხვა სამთავრობო დონეებთან იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობას ცხოვრების ყველა ასპექტში თავისი ორბიტის ფარგლებში.

(2) თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხილვის პროცესში ან თანასწორობასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხის წამოჭრის დროს ხელმომწერი კონსულტაციას გაივლის პარტნიორ ორგანიზაციებთან და ორგანიზაციებთან, მათ შორის, სოციალურ პარტნიორობებთან.

მუხლი 6 – სტერეოტიპებისთვის წინააღმდეგობის განვება

- (1) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, რომ დაუპირისპირდება და შეძლებისდაგვარად აღკვეთს ისეთ წინასწარ ჩამოყალიბებულ ცრურწმენებს, ქმედებებს, ენისა და სურათების გამოყენებას, რომლებიც ეფუძნება რომელიმე სქესის აღმატებულობის ან არასრულფასოვნების იდეას ან გენდერულ სტერეოტიპებს.
- (2) ამ მიზნით ხელმომწერმა უნდა უზრუნველყოს, რომ თავისი საჯარო და შიდა კომუნიკაცია სრულად შეესაბამებოდეს ნაკისრ ვალდებულებას და პოპულარიზაციას უწევდეს დადებით გენდერულ სახეებსა და ნიმუშებს.
- (3) ხელმომწერი თანამშრომლებს უნდა დაეხმაროს ტრენინგითა და სხვა საშუალებებით, რომ გამოვლინდეს და აღმოიფხვრას გაუცნობიერებელი მიკერძოება, სტერეოტიპული დამოკიდებულებები და ქცევა. მან ასევე უნდა დაარეგულიროს ქცევის ფორმები ამ მხრივ.
- (4) ხელმომწერმა უნდა ჩაატაროს აქტივობები და კამპანიები, რომ აამაღლოს ცნობიერება იმ საზიანო ზეგავლენის შესახებ, რომელიც გენდერულმა სტერეოტიპებმა შეიძლება მოახდინოს ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის მიღწევაზე.

მუხლი 7 – კარგი მართვა და კონსულტაცია

- (1) ხელმომწერი აღიარებს ქალებისა და კაცების უფლებას, რომ მათი საქმეები თანასწორად, მიუკერძოებლად, სამართლიანად და გონივრულ ვადაში იქნეს განხილული. ამაში შედის:
 - უფლება, მოსმენილ იქნეს მათი მოსაზრება ნებისმიერი ისეთი გადაწყვეტილების გამოტანამდე, რომელიც მიღების შემთხვევაში მათზე უარყოფითად იმოქმედებს;
 - ოფიციალური ორგანოს მოვალეობა, წარმოადგინოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიზეზები;
 - იმ საკითხებზე რელევანტური ინფორმაციის მიღების უფლება, რომლებიც მათზე ახდენს გავლენას.
- (2) ხელმომწერი აღიარებს, რომ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მისი პოლიტიკის და გადაწყვეტილების მიღების ხარისხი შეიძლება გაიზარდოს, თუ ყველას, ვისზეც შეიძლება გავლენა მოახდინოს შეეძლება კონსულტაციის მიღება. ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ დროს ქალებსა და კაცებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი ინფორმაციაზე და ჰქონდეთ რეაგირების თანაბარი შესაძლებლობა.
- (3) ამრიგად, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, რომ შემდეგ ნაბიჯებს გადადგამს საჭიროებისამებრ:
 - უზრუნველყოფს, რომ ინფორმაციის მიმწოდებელმა ნებისმიერმა სისტემამ გაითვალისწინოს ქალებისა და კაცების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებები, მათ შორის, ინფორმაციაზე და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომის განსხვავებული ხარისხი;
 - უზრუნველყოფს, რომ კონსულტაციების დროს პროცესში თანაბრად ჩაერთონ ის ადამიანები, რომელთა შეხედულებები სხვა შემთხვევაში შეიძლება უგულებელყოფილი ყოფილიყო და ამ მიზნის მისაღწევად კანონის ფარგლებში პოზიტიურ ზომებსაც მიმართავს;
 - საჭიროების შემთხვევაში ცალკე კონსულტაციებს ჩაატარებს ქალებთან.

თანასწორობის ზოგადი ჩარჩო

მუხლი 8 – ზოგადი ვალდებულება

- (1) თავისი მოვალეობების შესრულებისას ხელმომწერი აღიარებს, პატივს სცემს და ხელს შეუწყობს ქალთა და კაცთა თანასწორობის უფლებებსა და პრინციპებს მთელი მრავალფეროვნების გათვალისწინებით და შეენინა აღმდგება გენდერთან დაკავშირებულ დისკრიმინაციასა და არახელსაყრელ მდგომარეობას.
- (2) ამ ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებები ხელმომწერს ეხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ან მათთან დაკავშირებული ასპექტები ხელმომწერის სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებშია.

მუხლი 9 – გენდერული შეფასება

- (1) ხელმომწერი ვალდებულებას იღებს, რომ თავისი კომპეტენციის ყველა სფეროში ჩაატარებს გენდერულ შეფასებას, როგორც ამას წინამდებარე მუხლი ითვალისწინებს
- (2) ამ მიზნით, ხელმომწერი ვალდებულებას იღებს, რომ საკუთარი პრიორიტეტების, რესურსებისა და ვადების გათვალისწინებით შეადგენს გენდერული შეფასებების განხორციელების პროგრამას, რომელიც თანასწორობის სამოქმედო გეგმაში უნდა იქნეს გათვალისწინებული ან შეტანილი.
- (3) სათანადო შემთხვევაში გენდერულ შეფასებაში უნდა შედიოდეს შემდეგი ნაბიჯები:
 - არსებული პოლიტიკის, პროცედურების, პრაქტიკის, მოდელებისა და გამოყენების მოცულობების გაანალიზება იმ მიზნით, რომ დადგინდეს, წარმოშობს თუ არა ისინი რამე სახის დისკრიმინაციას ან უსამართლობას, ეფუძნება თუ არა გენდერულ სტერეოტიპებს და ადეკვატურად ითვალისწინებს თუ არა ქალებისა და კაცების სპეციფიკურ საჭიროებებს მათი მრავალფეროვნების გათვალისწინებით;
 - ფინანსური და სხვა სახის რესურსების განაწილების ანალიზი ზემოხსენებული მიზნებისთვის;
 - პრიორიტეტების და, აუცილებლობის შემთხვევაში, მიზნების იდენტიფიცირება, რომ გადაიტარას ამ ანალიზების შედეგად გამოვლენილი საკითხები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს სერვისის მიწოდების ხარისხი;
 - ყველა იმ მნიშვნელოვანი წინადადების ადრეული შეფასება, რომლებიც ეხება ახალ თუ შესწორებულ პოლიტიკას, პროცედურებს და რესურსების განაწილების ცვლილებებს იმ მიზნით, რომ შეფასდეს მათი პოტენციური გავლენა ქალებსა და კაცებზე. ამ შეფასების გათვალისწინებით უნდა მოხდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;
 - იმ ადამიანების საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება, რომლებიც დისკრიმინაციისა და

არახელსაყრელი მდგომარეობის მრავალმხრივ და ურთიერთგადამკვეთ ფორმებს აწყდებიან.

მუხლი 10 – დისკრიმინაციის ან არახელსაყრელი მდგომარეობის მრავალმხრივი და ურთიერთგადამკვეთი ფორმები

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, იქნება ეს სქესის, რასის, ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობის, გენეტიკური თვისებების, ენის, რელიგიის ან რწმენის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნულ უმცირესობისადმი კუთვნილების, საკუთრების, დაბადების, უნარშეზღუდულობის, ასაკის თუ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.
- (2) ხელმომწერი ასევე აღიარებს, რომ ამ აკრძალვის მიუხედავად, ბევრი ქალი და კაცი აწყდება დისკრიმინაციისა და არახელსაყრელი მდგომარეობის მრავალმხრივ და ურთიერთგადამკვეთ ფორმებს, მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკური კუთხით, რაც პირდაპირ ახდენს გავლენას ამ ქარტიაში მოყვანილი სხვა უფლებების რეალიზების შესაძლებლობაზე.
- (3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, რომ თავისი მოვალეობების შესრულებისას ყველა გონივრულ ზომას მიიღებს დისკრიმინაციისა და არახელსაყრელი მდგომარეობის მრავალმხრივი და ურთიერთგადამკვეთი ფორმებით გამომწვეულ შედეგებთან საბრძოლველად, კერძოდ:
 - უზუნველყოფს, რომ დისკრიმინაციისა და არახელსაყრელი მდგომარეობის მრავალმხრივი და ურთიერთგადამკვეთი ფორმები გათვალისწინებული იყოს თანასწორობის სამოქმედო გეგმაში და გენდერულ შეფასებებში;
 - უზრუნველყოფს, რომ დისკრიმინაციის ან არახელსაყრელი მდგომარეობის მრავალმხრივი და ურთიერთგადამკვეთი ფორმებიდან წარმოშობილი საკითხები გათვალისწინებული იქნეს ამ ქარტიის სხვა მუხლების მიხედვით ზომების მიღებისას ან მოქმედებების შესრულებისას;
 - ჩაატარებს საჯარო საინფორმაციო კამპანიებს სტერეოტიპების წინააღმდეგ და პოპულარიზაციას გაუწევს თანაბარ მოპყრობას იმ ქალებისა და კაცებისადმი, რომლებიც დისკრიმინაციის ან არახელსაყრელი მდგომარეობის მრავალმხრივი და ურთიერთგადამკვეთი ფორმების წინაშე შეიძლება იყვნენ;
 - მიიღებს კონკრეტულ ზომებს მიგრანტი ქალებისა და კაცების განსაკუთრებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

დამსაქმებლის როლი

მუხლი 11 – გენდერული თანასწორობა სამუშაო ადგილზე

(1) დამსაქმებლის სახით ხელმომწერი აღიარებს ქალთა და კაცთა თანასწორობას დასაქმების ყველა ასპექტში, მათ შორის, შრომის ორგანიზებისა და სამუშაო პირობების მხრივ.

(2) ხელმომწერი აღიარებს პროფესიული, სოციალური და პირადი ცხოვრების შეთავსების უფლებას და სამუშაო ადგილზე ღირსებისა და უსაფრთხოების უფლებას.

(3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, რომ ზემოხსენებული უფლებების დასაცავად გაატარებს ყველა საჭირო ღონისძიებას, მათ შორის, კონსტრუქციულ ზომას თავისი სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში.

(4) მესამე პუნქტში (3) აღნიშნულ შესაძლო ზომებში შედის:

(a) ორგანიზაციაში დასაქმებასთან დაკავშირებული წესებისა და პროცედურების გადახედვა და თანასწორობის სამოქმედო გეგმაში დასაქმების ნაწილის შემუშავება და იმპლემენტაცია იმ მიზნით, რომ უთანასწორობები აღმოიფხვრას გონივრულ ვადებში, რაშიც სხვა დანარჩენთან ერთად შედის შემდეგი საკითხები:

- თანაბარი ანაზღაურება, მათ შორის, თანაბარი ანაზღაურება თანაბარი ღირებულების საქმისათვის
- დებულებები ანაზღაურების, გასამრჯელოს, სახელფასო სისტემებისა და პენსიების გადახედვის შესახებ
- ზომები, რომლებიც სამართლიან და გამჭვირვალე შესაძლებლობებს ქმნის დანინაურებისა და კარიერული ზრდისთვის
- ზომები, რომლებიც ქალებისა და კაცების დაბალანსებულ ნარმოდგენლობას უზრუნველყოფს ყველა დონეზე, განსაკუთრებით კი, აგვარებს დისბალანსს ზედა ხელმძღვანელობაში
- ზომები, რომლებიც სქესობრივი ნიშნით სეგრეგაციას ებრძვის სამუშაო ადგილზე და თანამშრომლებს სტიმულს აძლევს, რომ მოსინჯონ არატრადიციული სამუშაო

- ზომები, რომლებიც სამუშაოზე აყვანის სამართლიან და მიუკერძოებელ პროცესს უზრუნველყოფს
- ზომები, რომლებიც შესაფერის, ჯანსაღ და უსაფრთხო სამუშაო პირობებს უზრუნველყოფს

(b) თანამშრომელთა კონსულტაციის პროცედურები, მათი პროფკავშირების ჩათვლით, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებულ მონაწილეობას ნებისმიერ საკონსულტაციო ან მოლაპარაკების ორგანოში.

(c) მკაფიო წინააღმდეგობა ნებისმიერი სახის ძალადობის, სექსუალური შევიწროების ან სამუშაო ადგილზე ძალადობის მიმართ — მათ შორის ონლაინ რეჟიმში დისტანციურად მუშაობის დროს — ცალსახად იმის გამოცხადებით, რომ ასეთი ქცევა მიუღებელია, ასევე ცნობიერების ამაღლებით, დაზარალებულთა მხარდაჭერით და გამჭვირვალე პოლიტიკის დანერგვით და განხორციელებით,

(d) სამუშაო ძალის დაკომპლექტება იმგვარად, რომ ასახავდეს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ მრავალფეროვნებას ორგანიზაციის ყველა დონეზე

(e) პროფესიული, სოციალური და პირადი ცხოვრების დარეგულირების მხარდაჭერა შემდეგი ელემენტების გამოყენებით:

- პოლიტიკის შემოღება, რომელიც საჭიროებისამებრ, არეგულირებს სამუშაო საათების კორექტირებას და თანამშრომლებზე დამოკიდებულ პირებზე ზრუნვას;
- მამაკაცების წახალისება, რათა გამოიყენონ შვებულების უფლება დამოკიდებულ პირებზე ზრუნვისთვის, მათ შორის დეკრეტის ჩათვლით.

სახელმწიფო შესყიდვები და კონტრაქტები

მუხლი 12 – სახელმწიფო შესყიდვები და კონტრაქტები

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ამოცანებისა და ვალდებულებების შესრულებისას, პროდუქციის მიწოდების, მომსახურების განვების ან სამუშაოების შესრულების კონტრაქტების ჩათვლით, მას ეკისრება პასუხისმგებლობა ქალების და მამაკაცების თანასწორობის სტრატეგიულად ხელშეწყობის კუთხით.
- (2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ამ პასუხისმგებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევებში, როდესაც საზოგადოებისთვის აუცილებელი მომსახურების განვვა, რაზეც ხელმომწერი რჩება კანონმდებლობით პასუხისმგებელი, გადაეცემა სხვა იურიდიულ პირს კონტრაქტის საფუძველზე. ასეთ შემთხვევებში, ხელმომწერმა უნდა უზრუნველყოს, რომ კონტრაქტის მიმღებმა იურიდიულმა პირმა (მიუხედავად საკუთრების ტიპისა) აიღოს იგივე პასუხისმგებლობა გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ან ხელშესაწყობად, რომელიც ხელმომწერს დაეკისრებოდა მომსახურების პირდაპირ განვვის შემთხვევაში.
- (3) დამატებით ხელმომწერი იღებს ვალდებულებას განახორციელოს, სადაც მიზანშეწონილად ჩათვლის, შემდეგი ქმედებები:
- (a) რაიმე მნიშვნელოვანი კონტრაქტის დადებამდე მან უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი გენდერული საკითხები, ასევე თანასწორობის კანონიერად ხელშეწყობის შესაძლებლობები;
- (b) უზრუნველყოს, რომ მომავალი კონტრაქტის გენდერული თანასწორობის მიზნები გათვალისწინებული იყოს ხელშეკრულების სპეციფიკაციებში;
- (c) უზრუნველყოს, რომ მომავალი ხელშეკრულების პირობები ასევე ითვალისწინებს და ასახავს ამ ამოცანებს;
- (d) გამოიყენოს ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება¹¹ სოციალური საკითხებთან დაკავშირებული მოქმედების პირობების დასადგენად;
- (e) მიანოდოს პერსონალს ან მრჩეველებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სახელმწიფო შესყიდვების ამოცანებზე და კონტრაქტების გაფორმებაზე, ყველა შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის ტრენინგების მეშვეობით, გენდერული საკითხების გათვალისწინებით სახელმწიფო შესყიდვების (GRPP) და მათი მუშაობის გენდერული თანასწორობის განზომილების შესახებ
- (f) უზრუნველყოს, რომ ძირითადი ხელშეკრულების პირობები მოიცავდეს მოთხოვნას იმის შესახებ, რომ ყველა ქვეკონტრაქტორმა ასევე უნდა შეასრულოს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ყველა მოქმედი ვალდებულება.

¹¹ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/24/EU სახელმწიფო შესყიდვებისა და 2004/18/EC დირექტივის ტექსტის (EEA-სთან დაკავშირებით) ანულირების შესახებ.

მომსახურების განვითარების როლი

მუხლი 13 – განათლება და გრძელვადიანი სწავლება

- (1) ხელმომწერი აღიარებს განათლების უფლებას ყველასათვის და დამატებით აღიარებს, რომ ყველას აქვს პროფესიულ და უწყვეტ ტრენინგზე წვდომის უფლება. ხელმომწერი აღიარებს ოფიციალური და არაოფიციალური განათლების მნიშვნელოვან როლს ცხოვრების ყველა საფეხურზე შესაძლებლობების ნამდვილი თანასწორობის უზრუნველყოფაში, ცხოვრებისა და დასაქმების მნიშვნელოვანი უნარების უზრუნველყოფაში და პროფესიული განვითარებისთვის ახალი შესაძლებლობების აღმოჩენაში.
- (2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს განათლებასა და პროფესიულ და უწყვეტ ტრენინგზე ყველა ასაკისა და განსხვავებულობის მქონე ქალებისა და მამაკაცების თანაბარ ხელმისაწვდომობას.
- (3) ხელმომწერი აღიარებს განათლების ყველა ფორმაში ქალებისა და მამაკაცების როლებთან დაკავშირებით გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის აუცილებლობას. ამის მისაღწევად, იგი იღებს საჭიროებისამებრ და თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში შემდეგი ქმედებების ხელშეწყობის და განხორციელების ვალდებულებას:
 - საგანმანათლებლო მასალების, სასკოლო კურიკულუმებისა და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების გადახედვა, რათა უზრუნველყოს მათი მიერ სტერეოტიპული დამოკიდებულებებისა და პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლა;
 - კონკრეტული ქმედებების განხორციელება არატრადიციული კარიერული არჩევანის წახალისების მიზნით;
 - კომპონენტების სპეციალურად ჩამატება, რომლებიც ხაზს უსვამენ დემოკრატიულ პროცესებში ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობის მნიშვნელობას სამოქალაქო და მოქალაქეობრივი განათლების კურსებში.
- (4) ხელმომწერი აღიარებს, რომ ხელმძღვანელი პირები

სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში წარმოადგენენ გავლენიან ადრეულ მოდელს ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის. ამიტომ იგი იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებულ წარმომადგენლობას სკოლის მართვისა და მმართველობის ყველა დონეზე.

მუხლი 14 – ჯანდაცვა

(1) ხელმომწერი აღიარებს ყველას უფლებას ისარგებლოს მაღალი სტანდარტის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანდაცვით და ადასტურებს, რომ ქალებისა და მამაკაცების მიერ კარგი ხარისხის ჯანდაცვაზე, სამედიცინო მკურნალობასა და პრევენციულ ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა აუცილებელია ამ უფლების რეალიზაციისთვის.

(2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალებისა და მამაკაცებისთვის ჯანდაცვის მაღალი სტანდარტებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისას სამედიცინო და ჯანდაცვის სერვისებმა არ უნდა უგულებელყონ მათი განსხვავებული საჭიროებები. ის ასევე აღიარებს, რომ ეს შეუსაბამობები გამომდინარეობს არა მხოლოდ ბიოლოგიური განსხვავებებიდან, არამედ ცხოვრებისა და სამუშაო პირობების უთანასწორობისა და გენდერული სტერეოტიპებისა და ვარაუდებიდან.

(3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, რომ განახორციელებს ყველა გონივრულ ქმედებას, თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობების ფარგლებში, რათა ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს უმაღლესი დონის ჯანდაცვა მისი ყველა მოქალაქისთვის. ამ მიზნით, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას განახორციელოს ან ხელი შეუწყოს, საჭიროებისამებრ, შემდეგ ქმედებებს:

- გენდერული პასუხისმგებლობის მიდგომის ჩართვა ჯანდაცვისა და სამედიცინო სერვისების დაგეგმვაში, რესურსების მოპოვებაში და ჯანდაცვის მომსახურების მიწოდებაში;
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის აქტივობების უზრუნველყოფა, მათ შორის ჯანსაღი დიეტის და ვარჯიშის მნიშვნელობის ჩათვლით, იმის გაგება, რომ ქალებისა და მამაკაცების საჭიროებები და დამოკიდებულებები შეიძლება განსხვავდებოდეს;
- იმის უზრუნველყოფა, რომ ჯანდაცვის მუშაკებმა, მათ შორის ჯანდაცვის ხელშეწყობაში ჩართულებმა, გააცნობიერონ ის გზები, რომლითაც გენდერს შეუძლია გავლენა მოახდინოს სამედიცინო და ჯანდაცვის საკითხებზე და ასევე გააცნობიერონ, რომ ქალებსა და მამაკაცებს შეუძლიათ განსხვავებულად მიიღონ ეს ზრუნვა;

- ქალებისა და მამაკაცების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და სამეცნიერო ინფორმაციაზე ჯანდაცვის შესახებ;

მუხლი 15 – სოციალური დაცვა და სერვისები

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ყველას აქვს ძირითადი სოციალური მომსახურებით და საჭიროების შემთხვევაში სოციალურ დახმარებისთვის მიმართვის უფლება.
- (2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალებსა და მამაკაცებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული საჭიროებები, რომლებიც შეიძლება განპირობებული იყოს მათი განსხვავებული სოციალური და ეკონომიკური პირობებით — და სხვა ფაქტორებით — ასევე ისეთი შემთხვევებით, რომელიც მოიცავს დისკრიმინაციისა და უთანასწორობის ურთიერთგადაკვეთის ფორმებს. შესაბამისად, ქალებისა და მამაკაცების მიერ სოციალურ დახმარებასა და სოციალურ მომსახურებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ხელმომწერი მიიღებს ყველა გონივრულ ზომას:
 - სოციალური მზრუნველობისა და სოციალური სერვისების დაგეგმვაში (მათ შორის მონაცემთა შეგროვების ჩათვლით), რესურსების მოპოვებასა და სოციალური მომსახურების განვითარებაში გენდერზე დაფუძნებული და ურთიერთმკვეთი მიდგომის ჩართვა;
 - იმის უზრუნველყოფა, რომ სოციალური მომსახურებასა და ზრუნვაში ჩართულმა პირებმა, გააცნობიერონ ის გზები, რომლითაც გენდერს შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ სერვისებზე და ასევე გაითვალისწინონ ის განსხვავებული გზები, რომელთა მეშვეობითაც ქალებსა და მამაკაცებს შეუძლიათ მიიღონ ეს ზრუნვა;

მუხლი 16 – ბავშვებზე ზრუნვა

- (1) ხელმომწერი აღიარებს არსებით როლს, რომელსაც მაღალხარისხიანი და ყველა მშობლისა და მომვლელისთვის ხელმისაწვდომი ბავშვებზე ზრუნვა თამაშობს (მიუხედავად მათი ფინანსური მდგომარეობისა) ქალსა და მამაკაცს შორის ჭეშმარიტი თანასწორობის ხელშეწყობაში და აძლევს მათ სამსახურის, საჯარო და პირადი ცხოვრების შეთავსების შესაძლებლობას. ხელმომწერი ასევე სრულად აღიარებს იმ წვლილს, რომელიც ბავშვზე ზრუნვას შეაქვს ადგილობრივი საზოგადოების და ზოგადად საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებასა და სტრუქტურაში.
- (2) ხელმომწერი ვალდებულია იღებს, ერთ-ერთ პრიორიტეტად აქციოს პირდაპირ ან სხვა პროვაიდერების მეშვეობით ბავშვზე ასეთი ზრუნვის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა. ის ასევე იღებს ვალდებულებას წაახალისოს სხვების მიერ ასეთი ზრუნვის უზრუნველყოფა, მათ შორის ადგილობრივი დამსაქმებლების მიერ ბავშვის მოვლის უზრუნველყოფა ან მხარდაჭერა.
- (3) ხელმომწერი ასევე აღიარებს, რომ ბავშვების აღზრდა მოითხოვს პასუხისმგებლობის გაზიარებას მამაკაცებსა და ქალებს შორის და მთლიანად საზოგადოების მიერ და იღებს ვალდებულებას დაანგრიოს გენდერული სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც ბავშვზე ზრუნვა ძირითადად ქალების საქმედ ან მოვალეობად ითვლება.

მუხლი 17 – კმაყოფილება მყოფ სხვა ადამიანებზე ზრუნვა

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალებსა და მამაკაცებს შეიძლება ჰქონდეთ პასუხისმგებლობა ბავშვების გარდა სხვა მათ კმაყოფილება მყოფი პირების ზრუნვაზე და რომ ასეთმა ვალდებულებებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ შესაძლებლობაზე სრულად ჩაერთონ ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.
- (2) ხელმომწერი ასევე აღიარებს, რომ ზრუნვის ეს პასუხისმგებლობა არაპროპორციულად ეკისრება ქალებს და, შესაბამისად, წარმოადგენს ბარიერს გენდერული თანასწორობისთვის.
- (3) ხელმომწერი იღებს ამ უთანასწორობას წინააღმდეგ საბრძოლველად შემდეგი ქმედებების განხორციელების ვალდებულებას:
 - ხელმომწერი ვალდებულებას იღებს, ერთ-ერთ პრიორიტეტად აქციოს დამოკიდებულ პირებისთვის ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის ზრუნვის უზრუნველყოფა პირდაპირ ან სხვა პროვაიდერების მეშვეობით;
 - იმ ადამიანების მხარდაჭერა და შესაძლებლობების ხელშეწყობა, ვინც განიცდის სოციალურ იზოლაციას მათზე დაკისრებული ზრუნვის პასუხისმგებლობის გამო;
 - სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიების ჩატარება, რომელიც თანახმად დამოკიდებულ პირებზე ზრუნვის პასუხისმგებლობა პირველ რიგში ქალებს ეკისრებათ.

მუხლი 18 – სოციალური ჩართულობა

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ყველას აქვს სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან დაცვის უფლება და, უფრო მეტიც, რომ ქალები, ძირითადად, უფრო მეტად განიცდიან სოციალურ გარიყულობას, ვიდრე მამაკაცები, რესურსებზე, საქონელზე, სერვისებზე და შესაძლებლობებზე მათი არათანაბარი წვდომის გამო.
- (2) აქედან გამომდინარე, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას მიიღოს ზომები მთლიანი კოორდინირებული მიდგომის ნაწილის სახით, რომელიც მოიცავს მისი სერვისებისა და აქტივობების სრულ სპექტრს და მუშაობს სოციალურ პარტნიორობთან, რათა:
 - ხელი შეუწყოს დასაქმების, საცხოვრებლის, ტრენინგების, განათლების, კულტურის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT), სოციალურ და სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას ყველასთვის, ვინც ცხოვრობს ან არის იმის რისკის ქვეშ, რომ იცხოვრებს გარიყულობის ან სიღარიბის პირობებში, როგორც სოფლად, ასევე ქალაქად;
 - აღიარებს სოციალური გარიყულობის მქონე ქალების განსაკუთრებულ საჭიროებებს და მდგომარეობას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ურთიერთდაკავშირებულ მახასიათებლებს;
 - მიგრანტი ქალებისა და მამაკაცების ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით.

მუხლი 19 - საცხოვრებელი უზრუნველყოფა

- (1) ხელმომწერი აღიარებს საცხოვრებლის უფლებას და ადასტურებს, რომ კარგი ხარისხის საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე აუცილებელ საჭიროებას, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინდივიდისა და ოჯახების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის.
- (2) ხელმომწერი ასევე აღიარებს, რომ ქალებსა და მამაკაცებს ხშირად აქვთ სპეციფიკური და განსხვავებული საჭიროებები საცხოვრებლებთან დაკავშირებით, რომლებიც სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული, მათ შორის ის ფაქტი, რომ:
 - (a) საშუალოდ, ქალებისთვის შემოსავლისა და რესურსების მოპოვება უფრო რთულია, ვიდრე მამაკაცებისთვის, ამიტომ ისინი საჭიროებენ საცხოვრებელს, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება მათ შესაძლებლობებს;
 - (b) მარტოხელა ოჯახების უმეტესობაში ოჯახის უფროსები ქალები არიან, რის გამოც ისინი უფრო მეტად საჭიროებენ სოციალურ საცხოვრებელს ან საბინაო დახმარებას;
 - (c) მონყვლადი მამაკაცები ხშირად არაპროპორციულად არიან წარმოდგენილი უსახლკარო ადამიანებში;
- (3) აქედან გამომდინარე, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, საჭიროებისამებრ:
 - (a) უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს ადეკვატური ზომისა და სტანდარტის ხარისხიანი საცხოვრებლის ხელმისაწვდომობას (ენერგოეფექტურობის ჩათვლით) ყველასთვის შესაფერის საცხოვრებელ გარემოში, სადაც ხელმისაწვდომია აუცილებელი სერვისები;
 - (b) განახორციელოს ქმედებები უსახლკარობის პრევენციისთვის და, კერძოდ, გაუწიოს დახმარება უსახლკაროებს საჭიროების, მონყვლადობისა და არადისკრიმინაციის პრინციპის მიხედვით;

- (c) თავისი უფლებამოსილებების შესაბამისად გასწიოს დახმარება საცხოვრებლის ფასის ხელმისაწვდომად გახდომაში მათთვის, ვისაც არ აქვს ადეკვატური რესურსი;
- (4) ხელმომწერი ასევე იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს ან ხელს შეუწყობს ქალებისა და მამაკაცების თანაბარ უფლებას იყვნენ თავიანთი სახლის მოიჯარე, მფლობელი ან სხვა სახის საკუთრების მფლობელი და, ამ მიზნით, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ან გავლენა, რათა უზრუნველყოს ქალების თანასწორი წვდომა იპოთეკაზე და ფინანსური დახმარებისა და კრედიტის სხვა ფორმებზე საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 20 – კულტურა, სპორტი და რეკრეაცია

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ყველას აქვს კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების და ხელოვნებით ტკბობის უფლება.
- (2) ამასთანავე, ხელმომწერი აღიარებს სპორტის როლს საზოგადოების ცხოვრებასა და ჯანმრთელობის უფლების უზრუნველყოფაში, როგორც ეს მე-14 მუხლშია მოცემული. იგი ასევე აღიარებს, რომ ქალების და მამაკაცების სხვადასხვა ჯგუფებს აქვთ კულტურულ, რეკრეაციულ და სპორტულ აქტივობებზე და ობიექტებზე თანაბარი წვდომის უფლება.
- (3) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალებსა და მამაკაცებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული გამოცდილება და ინტერესები კულტურასთან, სპორტთან და დასვენებასთან დაკავშირებით და რომ ეს შეიძლება იყოს გენდერული სტერეოტიპების, დამოკიდებულებების, ნორმებისა და ქმედებების შედეგი და, შესაბამისად, იღებს საწინააღმდეგო ზომების მიღების ვალდებულებას მათ შორის:
 - იმის უზრუნველყოფა, რომ ქალებსა და მამაკაცებს, ბიჭებსა და გოგონებს თანაბარი წვდომა აქვთ სპორტულ, რეკრეაციულ და კულტურულ ობიექტებზე და აქტივობებზე;
 - ქალებისა და კაცების, ბიჭებისა და გოგონების ნახალისება, რათა თანაბარი მონაწილეობა მიიღონ ყველა სახის სპორტულ და კულტურულ აქტივობაში, მათ შორის ისეთებში, რომლებიც ტრადიციულად მიიჩნეოდა „ქალის“ ან „მამაკაცისთვის“ განკუთვნილად;
 - ხელოვანების, კულტურის და სპორტული ასოციაციების ნახალისება, რათა ხელი შეუწყონ კულტურულ და სპორტულ აქტივობებს, რომლებიც მიმართულია ქალებისა და მამაკაცების გენდერულ სტერეოტიპების წინააღმდეგ;
 - საჯარო ბიბლიოთეკების სერვისების ნახალისება გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ წიგნების შერჩევასა, კატალოგებსა და სხვა მასალებში, ასევე სარეკლამო აქტივობებში.

მუხლი 21 – უსაფრთხოება

- (1) ხელმომწერი აღიარებს თითოეული ქალისა და მამაკაცის უფლებას პიროვნების უსაფრთხოების და გადაადგილების თავისუფლების თვალსაზრისით და იცის, რომ შეუძლებელია ამ უფლებების თავისუფლად ან თანასწორად გამოყენება, თუ ქალები ან მამაკაცები არიან — ან თვლიან, რომ არიან — დაუცველები და საფრთხეში, იქნება ეს კერძო ან სახელმწიფო ტერიტორიაზე.
- (2) ხელმომწერი ასევე აღიარებს, რომ ქალები და კაცები, ნაწილობრივ განსხვავებული ვალდებულებების ან ცხოვრების წესის გამო, ხშირად აწყდებიან უსაფრთხოების განსხვავებულ პრობლემებს, რომელთა მოგვარებაც საჭიროა.
- (3) ამიტომ ხელმომწერი იღებს შემდეგ ვალდებულებებს:
 - (a) გენდერული კონცეფციის შემუშავება ინციდენტების მოცულობისა და სახის შესახებ სტატისტიკის გაანალიზებისას (მათ შორის, ინდივიდის წინააღმდეგ სერიოზული დანაშაულების ჩათვლით), რომლებიც გავლენას ახდენენ ქალებისა და მამაკაცების უსაფრთხოებაზე, და გაზომონ დანაშაულის ან დაუცველობის სხვა ნყარობით გამოწვეული შიშის დონე ან სახე;
 - (b) სტრატეგიების, პოლიტიკისა და ქმედებების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც აძლიერებს ქალებისა და მამაკაცების პრაქტიკულ უსაფრთხოებას, როგორცაა ადგილობრივი გარემოს მდგომარეობის ან დიზაინის გაუმჯობესება (მაგ. ტრანსპორტის გადასასვლელები, ავტოსადგომები, ქუჩების განათება), ან პოლიციის და დაკავშირებული სერვისების დახვეწა, რითაც უნდა მოხდეს უსაფრთხოებისა ნაკლებობის შეგრძნების დაძლევა.

მუხლი 22 – გენდერული ძალადობა

- (a) ხელმომწერი აღიარებს, რომ გენდერული ძალადობის გავლენა ქალებსა და გოგონებზე არაპროპორციული სახისაა, წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევას და შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებასა და ფიზიკურ და ემოციურ ინტეგრულობას.
- (b) ხელმომწერი აღიარებს, რომ გენდერული ძალადობა არის მოძალადის მხრიდან ერთი სქესის უპირატესობის იდეის გამოვლინება მეორეზე ასიმეტრიული ძალაუფლების ურთიერთობების კონტექსტში, რომელიც ფესვადგმულია სოციალურ კონსტრუქციებში, რომლებიც დიდი ხანია არსებობს.
- (c) აქედან გამომდინარე, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას ჩამოაყალიბოს და გააძლიეროს გენდერული ძალადობის აღმკვეთი პოლიტიკა და ქმედებები, მისი კომპეტენციების ფარგლებში, კერძოდ:
 - დაზარალებულთათვის სპეციალური დამხმარე სტრუქტურების უზრუნველყოფა ან მხარდაჭერა;
 - რეგიონში არსებული დახმარების შესახებ ხელმისაწვდომი საჯარო ინფორმაციის მიწოდება თითოეულ ადგილობრივ ენაზე, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება
 - პროფესიონალი პერსონალის ტრენინგის უზრუნველყოფა, რომელიც საჭიროა ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირებისთვის და მხარდასაჭერად;
 - ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა შესაბამის სამსახურებს შორის, როგორცაა პოლიცია, ჯანდაცვის და საბინაო ორგანოები;
 - ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობა, რომლებიც მიმართულია პოტენციურ და რეალურ მსხვერპლსა და/ან დამნაშავეებზე.

მუხლი 23 – ადამიანით ვაჭრობა

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ადამიანებით ვაჭრობის დანაშაულის გავლენა ქალებსა და გოგონებზე არაპროპორციული სახისაა, წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევას და შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებასა და ფიზიკურ და ემოციურ ინტეგრულობას.
- (2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას ჩამოაყალიბოს და გააძლიეროს პოლიტიკა და ქმედებები ადამიანებით ვაჭრობის აღკვეთის მიზნით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში:
 - საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები;
 - პროფესიონალი პერსონალის სასწავლო პროგრამები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მსხვერპლთა იდენტიფიცირებასა და მხარდაჭერაზე;
 - ზომები მოთხოვნის შემცირების მიზნით;
 - შესაბამისი ზომები მსხვერპლთა დასახმარებლად, მათ შორის სამედიცინო მკურნალობის ხელმისაწვდომობა, ადეკვატური და უსაფრთხო საცხოვრებელი და ენობრივი დახმარება.

დაგეგმვა და მდგრადი განვითარება

მუხლი 24 – მდგრადი განვითარება

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ მისი ტერიტორიის სამომავლო სტრატეგიების დაგეგმვა და შემუშავება სრულად უნდა შეესაბამებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპებს, კერძოდ, როგორცაა ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და კულტურული განზომილებების დაბალანსებული ინტეგრაცია და, კერძოდ, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობისა და მიღწევის აუცილებლობა.
- (2) აქედან გამომდინარე, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას გაითვალისწინოს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრინციპი, როგორც ფუნდამენტალური განზომილება მისი ტერიტორიის მდგრადი განვითარებისათვის დაგეგმვისა და სტრატეგიის შემუშავებისას.

მუხლი 25 – ურბანული და ადგილობრივი დაგეგმარება

- (1) ხელმომწერი აღიარებს მისი სივრცითი, სატრანსპორტო, ეკონომიკური განვითარებისა და მიწათსარგებლობის პოლიტიკისა და დაგეგმვის მნიშვნელობას იმ პირობების ჩამოყალიბებაში, რომლების შემთხვევაშიც ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის უფლება ადგილობრივ ცხოვრებაში უფრო სრულად იქნება მიღწეული.
- (2) ხელმომწერი ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს, რომ ასეთი პოლიტიკისა და გეგმების შემუშავების, მიღებისა და განხორციელებისას:
- სრულად არის გათვალისწინებული ადგილობრივი ცხოვრების ყველა ასპექტში ეფექტური თანასწორობის ხელშეწყობის აუცილებლობა;
 - ქალებისა და მამაკაცების სპეციფიკური საჭიროებები მთელი მათი მრავალფეროვნებით — განსაზღვრული შესაბამისი და უახლესი ადგილობრივი მონაცემების მიხედვით, მათ შორის ხელმომწერის საკუთარი გენდერული შეფასებების მიხედვით — სათანადოდ არის გათვალისწინებული დასაქმების, სერვისებისა და კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობის, განათლებისა და ოჯახური პასუხისმგებლობის კუთხით;
 - მიღებულია მაღალი ხარისხის დიზაინის გადანყვეტილებები, რომლებიც ითვალისწინებს ქალებისა და მამაკაცების სხვადასხვა ჯგუფის სპეციფიკურ საჭიროებებს.

III ნაწილი

დაგეგმარება და მდგრადი განვითარება

მუხლი 26 – მობილობა და ტრანსპორტი

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ მობილურობა, მასზე ხელმისაწვდომობა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში უსაფრთხოება არის ფუნდამენტალური წინაპირობა, რომელიც საშუალებას აძლევს ქალებსა და მამაკაცებს შეასრულონ თავისი დავალებები და საქმიანობა, გამოიყენონ თავისი უფლებები, მათ შორის სამუშაოზე, განათლებაზე, კულტურასა და აუცილებელ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. იგი ასევე აღიარებს, რომ მუნიციპალიტეტის ან რეგიონის მდგრადობა და წარმატება დიდწილად დამოკიდებულია ეფექტური, მდგრადი და მაღალი ხარისხის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სერვისის განვითარებაზე.
- (2) ხელმომწერი ასევე აღიარებს, რომ ქალებსა და მამაკაცებს ხშირად აქვთ სხვადასხვა საჭიროებები და გამოყენების სახეები მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში მობილობისა და ტრანსპორტის თვალსაზრისით, რაც სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული, როგორცაა შემოსავალი, ზრუნვაზე პასუხისმგებლობა ან სამუშაო საათები და, შესაბამისად, ქალები არიან ისინი, რომელთაც უწევთ მრავალ-მიმართულებიანი და მრავალი მიზნით მგზავრობა და შესაბამისად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომხმარებელთა უმრავლესობას სწორედ ქალები წარმოადგენენ.
- (3) ამიტომ ხელმომწერი იღებს შემდეგ ვალდებულებებს:
 - (a) მობილობის შესაბამისი საჭიროებების და ქალებისა და მამაკაცების მიერ ტრანსპორტის გამოყენების სახეების გათვალისწინება, მათ შორის როგორც ქალაქის, ასევე სოფლის თემების ჩათვლით;
 - (b) იმის უზრუნველყოფა, რომ მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სერვისები ხელს შეუწყობს ქალებისა და მამაკაცების კონკრეტული და საერთო საჭიროებების დაკმაყოფილებას და შეიტანს წვლილს ადგილობრივ ცხოვრებაში რეალური გენდერული თანასწორობის მიღწევაში;
- (4) ხელმომწერი დამატებით იღებს ვალდებულებას მხარი დაუჭიროს თავისი ტერიტორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სერვისების პროგრესულ გაუმჯობესებას,

მათ შორის სხვადასხვა სახის ტრანსპორტის დაკავშირებას, რათა დააკმაყოფილოს ქალებისა და მამაკაცების კონკრეტული და საერთო საჭიროებები საიმედო, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით, რაც ამავედროულად ხელს უწყობს ტერიტორიის მდგრად განვითარებას.

მუხლი 27 – ეკონომიკური განვითარება

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ დაბალანსებული და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა წარმატებული მუნიციპალიტეტის ან რეგიონის მნიშვნელოვანი კომპონენტია და რომ მისმა საქმიანობამ და სერვისებმა ამ სფეროში შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს გენდერული თანასწორობის წინსვლაში.
- (2) ხელმომწერი აღიარებს ქალთა დასაქმების მაჩვენებლისა და ხარისხის გაზრდის აუცილებლობას და ასევე აღიარებს, რომ სიღარიბის რისკი, რომელიც გამოწვეულია ხანგრძლივი უმუშევრობით ან აუნაზღაურებელი სამუშაოთი, განსაკუთრებით მაღალია ქალების შემთხვევაში.
- (3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, ეკონომიკური განვითარების სფეროში თავისი კომპეტენციის, საქმიანობისა და მომსახურების ფარგლებში, სრულად გაითვალისწინოს ქალებისა და მამაკაცების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები და განიხილოს მათ შორის თანასწორობის ხელშეწყობის შესაძლებლობები და განახორციელოს ქმედებები ამ კუთხით. ასეთი ქმედებები შეიძლება შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:
 - მენარმე ქალთა დახმარება
 - იმის უზრუნველყოფა, რომ საწარმოებისთვის განეული ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერა ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას;
 - სტაჟიორ ქალთა ნახალისება, ისწავლონ უნარები და მიიღონ კვალიფიკაცია ისეთი სამუშაოსთვის, რომელიც ტრადიციულად აღიქმება როგორც „მამაკაცის საქმე“ და პირიქით
 - დამსაქმებლების ნახალისება ქალი შეგირდებისა და სტაჟიორების დაქირავებისთვის, გენდერული სტერეოტიპების გათვალისწინების გარეშე, როდესაც გარკვეული უნარები, კვალიფიკაცია და პოზიციები, ტრადიციულად აღიქმება როგორც „მამაკაცისთვის“ განკუთვნილი და პირიქით.

მუხლი 28 – გარემო

- (1) ხელმომწერი აღიარებს თავის პასუხისმგებლობას იმუშაოს დაცვის მაღალი დონის მისაღწევად და მისი ტერიტორიის გარემოს ხარისხის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით ნარჩენებთან, ხმაურთან, ჰაერის ხარისხთან, ბიომრავალფეროვნებასთან და კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან დაკავშირებული პოლიტიკის მეშვეობით. ის ასევე აღიარებს ქალისა და მამაკაცის თანაბარ უფლებას ისარგებლონ გარემოსთან დაკავშირებული მომსახურებითა და პოლიტიკით.
- (2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალებისა და მამაკაცების ცხოვრების სტილი ბევრგან განსხვავდება და რომ ქალებისა და მამაკაცების მიერ ადგილობრივი სერვისებისა და საჯარო თუ ღია სივრცეების გამოყენება შეიძლება განსხვავებული იყოს, რის გამოც ისინი სხვადასხვა სახის ეკოლოგიურ პრობლემებს აწყდებიან.
- (3) შესაბამისად, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, თავისი გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და სერვისების შემუშავებისას, სრულად და თანაბრად გაითვალისწინოს ქალებისა და მამაკაცების სპეციფიკური საჭიროებები და ცხოვრების წესი, ისევე როგორც თაობებს შორის სოლიდარობის პრინციპი.

მარეგულირებლის როლი

მუხლი 29 - ადგილობრივი მთავრობა როგორც მარეგულირებელი

- (1) ხელმომწერი, როგორც მის კომპეტენციაში შემავალი შესაბამისი საქმიანობის მარეგულირებელი, თავისი ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებისას აცნობიერებს მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ეფექტური რეგულირება და მომხმარებელთა დაცვა თამაშობს ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაში და რომ ქალებსა და მამაკაცებზე შეიძლება განსხვავებული ზეგავლენა იქონიოს შესაბამისმა რეგულირებადმა საქმიანობამ.
- (2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, თავისი მარეგულირებელი ამოცანების შესრულებისას, გაითვალისწინოს ქალებისა და მამაკაცების სპეციფიკური საჭიროებები, ინტერესები და გარემოებები.

ტვინინგი და საერთაშორისო თანამშრომლობა

მუხლი 30 - გენდერული თანასწორობა დეცენტრალიზებულ თანამშრომლობაში

- (1) ხელმომწერი აღიარებს მუნიციპალური თანამშრომლობის, ტვინინგის და დეცენტრალიზებული თანამშრომლობის მნიშვნელობას, რასაც ახორციელებენ ევროპული და საერთაშორისო ადგილობრივი და რეგიონული მთავრობები მდგრადი განვითარებისთვის, მოქალაქეების ერთმანეთთან დაახლოებისა და ეროვნულ საზღვრებს შორის ურთიერთსწავლისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობის მიზნით.
- (2) ხელმომწერი ტვინინგისა და დეცენტრალიზებული თანამშრომლობის სფეროებში თავის საქმიანობაში იღებს შემდეგ ვალდებულებას:
 - სხვადასხვა წარმომავლობის ქალებისა და მამაკაცების ჩართვა ამ საქმიანობაში თანაბარ საფუძველზე;
 - ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით ტვინინგის თავისი ურთიერთობების და ევროპული და საერთაშორისო პარტნიორობის გამოყენება გამოცდილების გაცვლისა და ურთიერთსწავლების პლატფორმის სახით
 - გენდერული თანასწორობის განზომილების ინტეგრირება მის დეცენტრალიზებულ თანამშრომლობის ქმედებებში.



ახალი მუხლების წარმოდგენა

წინასიტყვაობა

ქართის პირველად გამოქვეყნებიდან თხუთმეტი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა იმაში, თუ როგორ ვურთიერთობთ, ვმართავთ, გადავადგილებით, ვმუშაობთ და ვთამაშობთ. ჩვენ სულ უფრო მეტად ვაცნობიერებთ ჩვენი პლანეტის სისათუთეს და უამრავ გამოწვევას, რომელსაც გათვითცნობიერებულად უნდა მოეკიდოს ხელისუფლების ყველა დონე, ინსტიტუციები და სამოქალაქო საზოგადოება — გამოწვევები, რომელთა გამკლავებაც შეუძლებელია მათი გენდერული განზომილებებისა და ზემოქმედების გათვალისწინების გარეშე.

ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ევროპული ქარტია მრავალწლიანი გამოცდილების, ცოდნისა და მოლაპარაკებების პროდუქტია. CEMR-სა და მასში განეწვებულ ასოციაციებს სურთ, რომ ამ ავტორიტეტულ დოკუმენტში ახალი მუხლების დამატების მეშვეობით, შევსებული სახელმძღვანელო შესთავაზონ ევროპის მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებს, რომლებიც ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ ევროპულ ქარტიას იყენებენ თავიანთი მოსახლეობისთვის მეტი თანასწორობის შესაქმნელად.

ბოლოდროინდელი კრიზისები, როგორცაა COVID-19-ის პანდემია და ომი უკრაინაში, მიუთითებს სამოქალაქო მზადყოფნისა და კრიზისების მართვის აუცილებლობაზე, რომელიც მაღალ-ეფექტურია და რომელიც გენდერული საკითხები გათვალისწინებულია. სულ უფრო და უფრო ვხედავთ, რომ მიღწევები ICT-სა და გაციფროვნებაში არ არის გენდერულად ნეიტრალური. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, თუ როგორ არის ინტეგრირებული ქალისა და მამაკაცის იდენტობა, საჭიროებები და პრიორიტეტები ახალ ინსტრუმენტებსა და პროცესებში, რათა გაძლიერდეს გენდერული თანასწორობა და არ გაგრძელდეს მიკერძოება და უთანასწორობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე არსებობდა ჩვენს საზოგადოებებში.

თანასწორობაზე დაფუძნებული საზოგადოების მისაღებად, აუცილებელია, რომ ადგილობრივმა და რეგიონულმა მთავრობებმა გააცნობიერონ გენდერული განზომილება, რომელიც თან ახლავს მათ ყოველდღიურ საქმიანობას და მიიღონ ზომები გენდერული უთანასწორო ურთიერთობებისა და დისკრიმინაციული ნორმებისა და პრაქტიკის წინააღმდეგ, არა მხოლოდ საკუთარ პოლიტიკასა და პროცედურებში, არამედ საკუთარ ორგანიზაციებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ბიჭები და მამაკაცები ჩაერთონ ამ პროცესში, როგორც

ცვლილების განმახორციელებლები და როგორც გენდერული თანასწორობის სამუშაოს ბენეფიციარები.

ქართის დებულებები ახალ მუხლებთან ერთად მიზნად ისახავს ყველა იმ ადამიანის მოცვას, ვინც გრძნობს იმ ტრადიციული გენდერული ნორმების შედეგებს, რომლებიც აყალიბებენ ჩვენს საზოგადოებას და აღქმას. ჩვენი საზოგადოების წევრი ადამიანები წარმოადგენენ იდენტობების მრავალფეროვან და ფართო სპექტრს. ქარტია წარმოადგენს ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების დეკლარაციას, რომელშიც გაცხადებულია მათი სურვილი იმუშაონ საერთო მიზნისკენ – მიაღწიონ გენდერულ თანასწორობას ჩვენს საზოგადოებებში, რაც მნიშვნელოვანია და მოიცავს ყველა მოქალაქეს.

ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ევროპული ქარტიის გავრცობილი დებულებები მომზადდა ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს და მისი წევრი ასოციაციების მიერ, CEMR-ის გენდერული თანასწორობის ექსპერტთა ჯგუფისა და CEMR-ის თანასწორობის მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრებთან თანამშრომლობით. მისი ოფიციალური მიღება მოხდა CEMR-ის პოლიტიკის კომიტეტის მიერ 2022 წლის 6 დეკემბერს და შესაბამისად ეს არის მისი ძალაში შესვლის თარიღი.

ქართის არსებული ხელმომწერები მოწვეულნი არიან იმისთვის, რომ დაიცვან და მოახდინონ ახალი მუხლების რატიფიცირება და გამოიყენონ ამ მუხლების დებულებები თავიანთ საქმიანობაში თანასწორობის ევროპული ქარტიის გამოსაყენებლად. 2023 წლიდან ხელმომწერებს ვალდებულებები ეკისრებათ როგორც ქარტიის თავდაპირველი ტექსტის, ასევე 2022 წლის გავრცობილი დებულებების მიხედვით.

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების სიტუაციები განსხვავდება მათი ეროვნული კონტექსტის მიხედვით და მათი კომპეტენციები და პასუხისმგებლობები ფართო და მრავალფეროვანია. მამასადამე, ხელმომწერებს შეუძლიათ – მათი შესაძლებლობებისა და ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე – განსაზღვრონ თავიანთი პრიორიტეტული სფეროები თითოეული სამოქმედო გეგმისთვის.

ახალი მუხლები

ახალი მუხლები ფოკუსირებულია თემებსა და გამონვევებზე, რომლებიც ან არ არსებობდა 15 წლის წინ ან მნიშვნელოვნად განვითარდა შემდგომ და რომელიც დღეს დიდ გავლენას ახდენს გენდერული თანასწორობის მიღწევაზე.

ქართვაში შეტანილი ახალი მუხლები მოიცავს ცხრა **მაკრო თემს**, რომელიც ადგილობრივმა და რეგიონულმა მთავრობებმა უნდა გაითვალისწინონ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისას:

1. უპირველეს ყოვლისა, ძალზე მნიშვნელოვანია **მდგრადი განვითარების** ურთიერთდამხმარე საყრდენების გამოყენება, ესენია: სოციალური თანასწორობა, ეკონომიკური ზრდა და გარემოს დაცვა.
2. მიუხედავად იმისა, რომ გთავაზობთ სწავლის, კავშირების დამყარებისა და აქტივობებში მონაწილეობის ახალ შესაძლებლობებს, ონლაინ სამყაროს თან ახლავს განსაკუთრებული გამონვევები გოგონებისა და ქალებისთვის — განსაკუთრებით შევიწროებისა და **კიბერ-ძალადობის თვალსაზრისით**.
3. **არჩეული ქალი წარმომადგენლების**, საზოგადო მოღვაწეებისა და პერსონალის მიმართ ძალადობა და შეურაცხყოფა წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს დემოკრატიული მმართველობისთვის.
4. **ინტერსექციონალურობა** არის კონცეფცია და მიდგომა, რომელიც ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს შეუძლიათ გამოიყენონ გენდერული ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით გოგონებისა და ქალების მიმართ, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციის მრავალ და ურთიერთმკვეთ ფორმებს.
5. თანამედროვე ციფრულმა ტექნოლოგიებმა მრავალ პროფესიულ ჯგუფს მისცა უფრო **მოქნილი სამუშაო** ცხოვრების შესაძლებლობა. ბევრ ადამიანს, თუმცა არა ყველას, ახლა შეუძლია სახლიდან გაუსვლელად მუშაობა, რაც მოიცავს როგორც შესაძლებლობებს ასევე რისკებს გენდერული თანასწორობისთვის.
6. ყველა გოგონასა და ქალის **ციფრული ინკლუზია** აუცილებელია საზოგადოების განვითარებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ყველასთვის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფას. თუმცა, ICT-სა და გაციფროვნებაში

არსებული მიღწევები გენდერულად ნეიტრალური არ არის. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ახალი ინსტრუმენტებისა და პროცესების შემუშავებას და გამოყენებას, რომლებიც აძლიერებენ და არა ძირს უთხრიან ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას.

7. გოგონებსა და ქალებს შეუძლიათ თავისუფლად და თანაბრად იცხოვრონ მხოლოდ მაშინ, როცა მათი **სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებები** დაცულია.
8. **კლიმატის ცვლილება** არის საფრთხის მულტიპლიკატორი, რომელიც ამძაფრებს სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაძაბულობას და არაპროპორციულ გავლენას ახდენს გოგონებზე და ქალებზე.
9. დაუშვებელია გენდერული თანასწორობის და გოგონებისა და ქალების აქტიური ჩართულობის უგულბებლყოფა კრიზისის მომენტებში, არამედ უნდა განიხილებოდეს როგორც ეფექტური კომპონენტი წარმატებული **სამოქალაქო მზადყოფნისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისთვის**.

მუხლი 31 – მდგრადი განვითარება
მდგრადი მომავლისთვის

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ გენდერული თანასწორობა და ყველა მასთან დაკავშირებული კომპონენტი წარმოადგენს მდგრადი განვითარების მამოძრავებელ ძალას, როგორცაა სიღარიბისა და შიმშილის დასრულება, კეთილდღეობისა და ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობა, მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებების მშენებლობა, პლანეტისა და მისი ბუნებრივი რესურსების დაცვა.
- (2) ხელმომწერი აღიარებს, რომ 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგისა და 2030 წლის შემდგომი მდგრადობის დღის წესრიგის ამბიციები გლობალურია, ხოლო მათი განხორციელება ლოკალურია. მდგრადი განვითარების 17 მიზანი უშუალოდ უკავშირდება LRG-ების პასუხისმგებლობებს და გენდერული თანასწორობა არის კომპონენტი, რომელიც განაპირობებს მათ წარმატებულ განხორციელებას. კერძოდ, ხელმომწერი აცხადებს, რომ ქართის ვალდებულებები შეესაბამება მე-5 მიზანს.

მუხლი 32 – კიბერ ძალადობა

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ გენდერული ძალადობა მოიცავს კიბერ ძალადობას ყველა მისი ფორმით. კიბერძალადობის აქტები შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა სახის შევიწროებას, მუქარას, კონფიდენციალურობის ხელყოფას, სექსუალურ ძალადობას და სექსუალურ ექსპლუატაციას, ასევე მიკერძოებასთან დაკავშირებულ დანაშაულებს ან სოციალური ჯგუფების, თემების ან ინდივიდების მიმართ სიძულვილს. ხელმომწერი აღიარებს, რომ ასეთი ქმედებების გავლენა ქალებსა და გოგონებზე არაპროპორციულია.
- (2) ამ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად ხელმომწერი, თავისი მოვალეობების შესაბამისად, იღებს შემდეგ ვალდებულებას:
 - როგორც დამსაქმებელი მიიღებს ზომებს სამუშაო ადგილზე ძალადობის, შევიწროებისა და ძალადობის ყველა ფორმით ასაკრძალავად, მათ შორის მესამე მხარის ძალადობისა და კიბერ ძალადობის ჩათვლით.
 - იქნება ყურადღებით, რათა თავიდან აიცილოს და შეაჩეროს ნებისმიერი სახის შევიწროება და ძალადობა, რომელიც გამოვლინდება მათ სამსახურებში, განსაკუთრებით სკოლებში.
 - ასწავლის ბავშვებსა და ახალგაზრდებს, ასევე რჩევას მისცემს მათ მშობლებს კიბერ-ძალადობისა და მისი გენდერული ასპექტების შესახებ და თუ როგორ შეიძლება მისი პრევენცია და შეჩერება.
 - ბიჭების და მამაკაცების ჩართვა, როგორც ცვლილების განმახორციელებლებისა და გაზრდილი გენდერული თანასწორობის ბენეფიციარებისა და თავიდან აიცილებს რადიკალიზაციას ონლაინ თემებში, რომლებიც ხელს უწყობენ ქალების მიმართ სიძულვილს.

მუხლი 33 – ძალადობა არჩეული ქალების დაპერსონალის მიმართ

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ონლაინ და ფიზიკური მუქარა და ძალადობა ქალების მიმართ, რომლებიც კანდიდატები არიან, არჩევნების გზით მოპოვებულ ან სხვა საჯარო თანამდებობებზე მსახურობენ, ხშირად გენდერული სახისაა და შეიძლება ხელი შეუშალოს ქალთა სოციალურ და პოლიტიკურ ჩართულობას, რაც ძირს უთხრის დემოკრატიის პრინციპს.
- (2) ხელმომწერი აღიარებს პოლიტიკაში ჩართვის უსაფრთხო ადგილის არსებობის აუცილებლობას. ამ მიზნით, ხელმომწერი ვალდებულია, თავისი პასუხისმგებლობის შესაბამისად, განავითაროს პროცესები და მხარდაჭერი სტრუქტურები, რათა მისცეს რჩევა და დაეხმაროს არჩეულ ქალებსა და თანამშრომლებს სიძულვილის ენასთან ბრძოლაში.
- (3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას აღკვეთოს, შეამციროს და შეამსუბუქოს მესამე მხარის მიერ ძალადობა და შევიწროება, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს მათი არჩეული წარმომადგენლების და თანამშრომლების მიმართ თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, რაც განსაკუთრებით გავლენას ახდენს ქალებზე.

მუხლი 34 – ინტერსექციურობა და მრავალფეროვნება

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ადამიანების იდენტობა და ცხოვრებისეული გამოცდილება არ არის მხოლოდ დამატებითი ელემენტი, არამედ ურთიერთგადაამკვეთი და რთული კომპონენტია.
- (2) ხელმომწერი აღიარებს აუცილებლობას, რათა გოგონებისა და ქალების ხმები და გამოცდილება, რომლებიც დაუცველნი არიან დისკრიმინაციის მრავალი და ურთიერთდაკავშირებული ფორმების მიმართ, გამოყენებულ იქნას მათზე მოქმედი პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის დროს. ამ მიზნით, ხელმომწერს შეუძლია მიიღოს შემდეგი ზომები:
 - გაითვალისწინოს ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული გოგონებისა და ქალების სპეციფიკური საჭიროებები¹² და თავისი სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში ხელი შეუწყოს მათ ინტეგრაციას და ჩართვას ყველა გონივრული ღონისძიების, მათ შორის პოზიტიური ქმედებების გატარებით;
 - წახალისოს გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლა საგანმანათლებლო აქტივობებში და წარმოაჩინოს მისაბაძი მოდელების ფართო სპექტრი სხვადასხვა ადგილებში, მათ შორის საჯარო ბიბლიოთეკების წიგნების კატალოგებში და სხვა მასალებში, ასევე მათ სარეკლამო აქტივობებში;

¹² ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტია, მუხლი 21: „სქესი, რასა, ფერი, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობა, გენეტიკური მახასიათებლები, ენა, რელიგია ან რწმენა, პოლიტიკური ან სხვა აზრი, ეროვნული უმცირესობის წევრობა, ქონება, დაბადება, ინვალიდობა. ასაკი ან სექსუალური ორიენტაცია“.

მუხლი 35 – სამუშაო ადგილის მოქნილობა

- (1) ხელმომწერი აღიარებს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც სამუშაო ადგილის მოქნილობას, მათ შორის დისტანციურ მუშაობას, შეუძლია შესთავაზოს როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს პროფესიული, სოციალური და პირადი ცხოვრების შეჯერების ხელშესაწყობად. ხელმომწერი ასევე აღიარებს იმ რისკებსა და ნაკლოვანებებს, რაც მუშაობის ახალმა გზებმა შეიძლება მოუტანოს ქალებს, მათ შორის, დაქვეითებული ფსიქიკური ჯანმრთელობა, შემოსავლის ან დასაქმების შემცირება, აგრეთვე ბრუნვის გაზრდილი ტვირთი და აუნაზღაურებადი საშინაო სამუშაო, რომელიც ხშირად არაპროპორციულად ნაწილდება ქალებზე.
- (2) ხელმომწერი ვალდებულებას იღებს ხელი შეუწყოს სამუშაო ადგილის მოქნილობას თავის საქმიანობასა და მომსახურებასთან დაკავშირებით, რათა ხელი შეუწყოს პროფესიული, სოციალური და პირადი ცხოვრების შეჯერებას როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისთვის.
- (3) ხელმომწერი, როგორც დამსაქმებელი, იღებს ვალდებულებას, ყურადღებით იყოს დისტანციური მუშაობის რისკის შესახებ, რომელიც გაზრდის ქალების მიერ შესრულებულ აუნაზღაურებელ მოვლის სამუშაოს.

მუხლი 36 – გაციფროვნება და ციფრული ინკლუზია

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ახალმა ციფრულმა საკომუნიკაციო ინსტრუმენტებმა შეცვალა მოქალაქეების, ხელისუფლების, კერძო კომპანიების, სამოქალაქო საზოგადოების და სხვა ორგანიზაციების კომუნიკაციის, ინფორმაციის გავრცელებისა და შეგროვების გზები. ციფრული ტექნოლოგია გთავაზობთ დიდ შესაძლებლობებს ადგილობრივი და რეგიონული სამთავრობო სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის.
- (2) ხელმომწერი აღიარებს იმ ძირითად როლს, რომელსაც ციფრული სწავლის გადანაცვები შეუძლია შეასრულოს განათლებაში გოგონებს, ბიჭებს, ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის განვითარებაში, განსაკუთრებით მათთვის, ვინც სკოლაში ჩამორჩენილია. იგი ასევე აღიარებს, რომ ქალებზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ონლაინ და ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომასა და გამოყენებაზე გენდერულმა დაყოფამ, ასევე მის ტექნოლოგიურ განვითარებასა და მმართველობაზე. ამიტომ იგი იღებს ვალდებულებას მხარი დაუჭიროს ქალთა და გოგონების წვდომას ციფრულ სასწავლო გადანაცვებიებზე ისეთი ციფრული სწავლების ხელშეწყობით, რომელშიც გათვალისწინებულია გენდერული საკითხები, STEM განათლებისა და ციფრული უნარების განვითარების მხარდაჭერით.

მუხლი 37 – სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვის უფლება

- (1) ადგილობრივი და რეგიონული მთავრობები გადამწყვეტ როლს ასრულებენ თავიანთი მოქალაქეების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში. ამ კუთხით, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას განახორციელოს ან ხელი შეუწყოს, საჭიროებისამებრ და თავისი კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობების ფარგლებში, შემდეგი ღონისძიებები:
- (a) პროგრამების ხელშეწყობა და წახალისება, რომელიც მიმართულია ბიჭების, გოგონების, მამაკაცებისა და ქალების მიმართ და გვთავაზობს ყოვლისმომცველ სექსუალურ განათლებას, ეხება ისეთ თემებს, როგორიცაა სოციალური ნორმები და მენსტრუაციის გარშემო არსებული სტიგმა და დისკრიმინაცია. გოგონებისა და ქალების ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და ღირსების გაზრდილი დაცვა;
 - (b) მონყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული ქალებისა და გოგონების საჭიროებების გათვალისწინება და მათთვის ჯანდაცვაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც მათი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების განუყოფელი ნაწილია.
- (2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ჯანდაცვის თვალსაზრისით თანასწორობა მოიცავს რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობის უფლებას და დამატებით აღიარებს მისი დარღვევის მიზეზებსა და შედეგებს.
- (3) ხელმომწერი აღიარებს ქალთა უფლებას გააკონტროლონ და თავისუფლად გადანყვიტონ საკუთარი სექსუალური საკითხები, მათ შორის ოჯახის დაგეგმვის, კონტრაცეფციების, უსაფრთხო და კანონიერი აბორტის და პრენატალურ და დედათა მოვლის სერვისების ჩათვლით.

მუხლი 38 – კლიმატის ცვლილება და ჯანსაღი გარემოს ქონის უფლება

- (1) გლობალური დათბობა, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა და დაბინძურება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ძირითადი უფლებებით, მათ შორის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ოჯახის უფლებით სარგებლობას. ხელმომწერი აღიარებს ჯანსაღი გარემოთი სარგებლობის უფლებას, როგორც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ქალთა და გოგონების საჭიროებებს.
- (2) ხელმომწერი აღიარებს ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების მნიშვნელოვან როლს გარემოსა და კლიმატის ცვლილების გამონყვევებზე რეაგირებაში, განსაკუთრებით ქალაქებში, ადამიანის უფლებების პრინციპებისა და პოლიტიკის შესაბამისად, სადაც გენდერული საკითხები გათვალისწინებულია. ამიტომ ხელმომწერი იღებს შემდეგ ვალდებულებას:
- ადგილობრივ პოლიტიკაში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების ინტეგრირების გაუმჯობესება და განვითარების მდგრადი მოდელების შემუშავება, რომლებშიც გათვალისწინებულია გენდერული პასუხისმგებლობის გადამწყვეტილებები.
 - ქალთა პერსპექტივების და გამოცდილების ჩართვა გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლის მიზანიც არის გენდერულად დაბალანსებული მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავების ყველა ფაზასა და პროცესში.

მუხლი 39 – კრიზისის მართვა
სამოქალაქო მზაობა

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ კრიზისები და მათი მიზეზები ბევრი და ურთიერთდაკავშირებული სახისაა და ხშირად განსხვავებულად მოქმედებს ქალებსა და მამაკაცებზე.
- (2) ხელმომწერი აღიარებს ძირითად როლს, რომელიც შეუძლიათ შეასრულონ ადგილობრივმა და რეგიონულმა მთავრობებმა კრიზისის დროს საზოგადოების პრევენციებისა და ქალებისა და მამაკაცების, გოგონებისა და ბიჭების საჭიროებების განსაზღვრაში.
- (3) ხელმომწერი აცნობიერებს კრიზისის დროს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სამოქალაქო მზადყოფნის წინასწარ დაგეგმვისას ქალთა ადეკვატური წარმომადგენლობის აუცილებლობას, ისეთი ქმედებებისა და აღდგენის სტრატეგიების შემუშავებითა და განხორციელებით, რომლებშიც გათვალისწინებულია გენდერული საკითხები, და ამავედროულად უზრუნველყოს მედეგობა მომავალი კრიზისებისა და შოკების მიმართ.
- (4) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, რომ როგორც მზადყოფნის დაგეგმვისას, ასევე კრიზისების მართვაში:
 - გააძლიერებს ქალთა მონაწილეობას პოლიტიკაში, საჯარო დანერგვებებში და ხელმძღვანელ პოზიციებზე, რათა უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციებში მზადყოფნისა და კრიზისების მართვისას გენდერული საკითხების გათვალისწინება;
 - თემზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კრიზისების გენდერული მოცულობების გაგებაში და სოციალური დაცვისა და სერვისების მიწოდების მონიტორინგსა და მხარდაჭერაში;
 - სქესისა და ასაკის მიხედვით დანაწილებული მონაცემების, სტატისტიკისა და დასკვნების შეგროვება, რომლებიც ასაბუთებს განსხვავებულ გენდერულ ზემოქმედებას, რათა ეფექტურად დაუპირისპირდეს საგანგებო სიტუაციების გენდერთან დაკავშირებულ ეფექტებს და გააუმჯობესოს კრიზისის მართვა.
- (5) ხელმომწერი ვალდებულია მიიღოს სპეციალური ზომები შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციებში გენდერული ძალადობისგან ქალებისა და გოგონების დასაცავად, განსაკუთრებით გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებისგან.





დადასტურება

2022 წელს წინამდებარე ქართის განახლება განხორციელდა სილვია ბარალდის ხელმძღვანელობით, რომელიც გახლავთ ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის CEMR-ის მუდმივმოქმედი კომიტეტის თავმჯდომარე (2021-2022 წწ):

- CEMR-ის გენდერული თანასწორობის ექსპერტთა ჯგუფის წევრები
- ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის CEMR-ის მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრები
- CEMR-ის სამდივნო: ჯიმი ჯასტი, ორიანე ლოკე, მარლენ სიმონი, ბეატრის ტომასი, პიერ ვანდერ აუვერა
- რედაქტორი: პენი იმ-ბარბიერი
- გრაფიკული დიზაინი: პაუ! დიზაინი
- თარგმანი: Eurideas, PoliLingua

2006 წლის ქართის თავდაპირველი ტექსტი დაწერეს სანდრა ჩეკარინი და ჯერემი სმიტმა, CEMR-ის წევრი ასოციაციებისა და პარტნიორების მხარდაჭერითა და დახმარებით:

- ბულგარეთის რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ეროვნული ასოციაცია (NAMRB)
- კვიპროსის მუნიციპალიტეტების კავშირი (UCM)
- ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქებისა და თემების გაერთიანება (SMO CR)
- ფინეთის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა ასოციაცია (AFLRA)
- CEMR-ის საფრანგეთის განყოფილება (AFCCRE)
- CEMR-ის გერმანიის განყოფილება (RGRE)
- საბერძნეთის მუნიციპალიტეტებისა და თემების ცენტრალური კავშირი (KEDKE)
- უნგრეთის ადგილობრივი ხელისუფლების ეროვნული ასოციაცია (TÖÖSZ)

- CEMR-ის იტალიის განყოფილება (AICCRE)
- ლუქსემბურგის ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ასოციაცია (SYVICOL)
- პოლონეთის ქალაქების ასოციაცია (ZMP)
- ესპანეთის მუნიციპალიტეტებისა და პროვინციების ფედერაცია (FEMP)
- ბასკეთის მუნიციპალიტეტების ასოციაცია (EUDEL)
- შვედეთის ადგილობრივი ხელისუფლებისა და რეგიონების ასოციაცია (SALAR)
- ქალაქი ვენა (ავსტრია)
- ქალაქი სენ ჟან დე ლა რუელი (საფრანგეთი)
- ქალაქი მაინის ფრანკფურტი (გერმანია)
- ქალაქი კარტახენა (ესპანეთი)
- ქალაქი ვალენსია (ესპანეთი)
- დროისა და მობილობის სახლი, ბელფორ-მონბელიარის მუნიციპალიტეტი (საფრანგეთი)
- ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ევრო-ხმელთაშუა ზღვის პარტნიორობის მუდმივი კომიტეტი (COPPEM)

CEMR-ის შესახებ

ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს (CEMR) ჰყავს ყველაზე მეტი წევრი ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების სახით ევროპაში ნებისმიერ ორგანიზაციაში. მისი წევრები წარმოადგენენ მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების 60-ზე მეტ ეროვნულ ასოციაციას ევროპის 40 ქვეყნიდან. ეს ასოციაციები მთლიანად წარმოადგენენ დაახლოებით 100 000 ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობას.

CEMR-ის მიზნები ორია: გავლენა მოახდინოს ევროპულ კანონმდებლობაზე ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების სახელით და შექმნას მის წევრ ასოციაციებსა და მათ არჩეულ ოფიციალურ პირებსა და ექსპერტებს შორის გაცვლის პლატფორმა.

საერთაშორისო ასპარეზზე CEMR არის გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი მმართველობის ევროპული განყოფილება (UCLG), ადგილობრივი ხელისუფლების მსოფლიო ორგანიზაცია.

www.cemr.eu

ობსერვატორიის შესახებ

CEMR-მა 2012 წელს ჩაუშვა ევროპის თანასწორობის ქარტიის ობსერვატორია, რათა მხარი დაუჭიროს ქარტიის ხელმომწერებს ქარტიის შესრულებასა და გენდერული თანასწორობის განვითარებაში. ონლაინ პლატფორმა აჩვენებს კარგ პრაქტიკას და წარმატებული ადგილობრივი გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მაგალითებს და ხელს უწყობს ხელმომწერთა შორის ურთიერთსწავლებას. ის ასევე მოიცავს მითითებებს თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ და შეიცავს მონაცემთა ბაზას („ატლასი“), რომელშიც მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმომწერთა გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების ბმულები.

ობსერვატორია მუშაობას კოორდინაციას უწევს CEMR-ის სამდივნო, CEMR-ის თანასწორობის მუდმივმოქმედ კომიტეტთან და ექსპერტთა ჯგუფთან ერთად, რომელიც შედგება ეროვნული კოორდინატორებისგან/ CEMR-ის წევრი ასოციაციების გენდერული საკოორდინაციო ცენტრებისგან.

www.charter-equality.eu





ევროპული ქარტია

ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ

ქარტია ასახავს ევროპის ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების ვალდებულებას გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილებები და პარტნიორობა თავისი მოსახლეობისთვის უფრო მაღალი თანასწორობის უზრუნველსაყოფად

მე. ქვემოთ ხელმომწერი, (ხელმომწერის სახელი)

თანამდებობა

.....-ში (ადგილობრივი / რეგიონული ხელისუფლების სახელწოდება)

ჩემი ხელმწერი ვადასტურებ, რომ ზემოთ ხსენებულმა ორგანომ ოფიციალურად განაცხადა თანხმობა დაიცვას ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ, დაიცვას მისი დებულებები და მე გამაჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით მისი სახელით მოქმედების სრული უფლებამოსილება.

ხელმოწერა

თარიღი

მე ვეთანხმები ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოსთვის ამ ფორმის ხელმოწერილი და შევსებული ასლის გაგზავნას შემდეგ მისამართზე, რომელიც გახლავთ ქარტიის შემქმნელი და განმკარგვი:



გენერალური მდივანი

ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭო
Square de Meeus,
B-1000 ბრიუსელი
ბელგია
charter@ccre-cemir.org



Local & Regional Europe
L'Europe locale & régionale

ბრიუსელი

1, Square de Meeûs
1000 ბრიუსელი
ტელ.: + 32 2 511 74 77
charter@ccre-cemr.org

cemr.eu
charter-equality.eu

twitter.com/ccrecemr
twitter.com/cemr_equality



ევროკავშირი
საქართველოსთვის

ამ პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორის შეხედულებებს და შედის მის პასუხისმგებლობაში.
ევროკომისია არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის ნებისმიერ გამოყენებაზე.